ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 23 თებერვალი, 2017 №45 (7280) ფასი: 50 თეთრი

## „მთავრობამ 50.000 ადამიანი დაზღვევის გარეშე დატოვა“

კახა კუკავა: „სერგეენკომ ტყუილი თქვა“ გვ.4



23 თებერვლიდან
ვიქტორ ჰიუგო
საბრალონი
ტომი I
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# რატომ არ შეხვდა პატრიარქი დაკავებულ დეკანოზს



მამა გიორგი მამალაძე მატროსოვის ციხეში დააბრუნეს



გვ.2

## ადვოკატი: „იარაღი, რომელიც მამა გიორგი მამალაძის სახლში აღმოაჩინეს, დეკანოზს არ ეკუთვნოდა“ გვ.7



## სერგო რატიანი: „ირაკლი შოთაძემ პასუხი უნდა აგოს“

გვ.3

გვ.2

## აკაკი ბობოხიძე: „სანამ ხელისუფლებას იტანთ, იქნებით იმ დღეში, რა დღეშიც ხართ!“







გვ.5

## სევდია უგრეხელიძე: „ნარმანია ივანიშვილის დავალებების საუკეთესო შემსრულებელია“

## ნანა დევდარიანი: „აფხაზეთიდან რუსების გაყვანა შესაძლებელია“



გვ.5



გვ.7

## სუს-ის უფროსი პოლონეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რატომ არ შეხვდა პატრიარქი დაკავებულ დეკანოზს

შორენა მარსაგიშვილი

**ციანიდის საქმესთან დაკავშირებით ეკლესიამ გამოძიებას სრული ნდობა გამოუცხადა. ეს განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ საპატრიარქოში პატრიარქი მოინახულა. მის გარდა საპატრიარქოში ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ.**

**პატრიარქთან შეხვედრის სურვილი ჰქონდა დაკავებულ მამა გიორგი მამალაძესაც. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ პატრიარქი მასთან შეხვედრას აპირებდა.**

**გუშინ, 22 თებერვალს, კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებული დეკანოზი შესაძლოა საპატრიარქოში მიეყვანათ. ეს ინფორმაცია დაკავებულის ადვოკატის განცხადების შემდეგ გავრცელდა.**

ამ დრომდე დაკავებული დუმილის უფლებას იყენებს. ადვოკატის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს სურდა ჯერ პატრიარქთან ესაუბრა და ამის შემდეგ მიეცა გამოძიებისთვის ჩვენება.

პატიმრობაში მყოფი დეკანოზი ორმა ეპისკოპოსმა უკვე მოინახულა. აქედან ერთ-ერთი მეუფე პეტრე მას თავდებშიც კი უდგებოდა.

ადვოკატ გიორგი ფანცულაიას განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი, სავარაუდოდ, ამ დღეებში დაარღვევს დუმილს.

– დუმილის უფლების დარღვევა დამოკიდებული იყო სასულიერო პირების ნებართვასა და კურთხევაზე, ასევე დაცვის ტაქტიკისა და შექმნილი არანორმალური ფონის გამო, რომელიც პროკურატურიდან მომდინარეობდა. გაიარა ამ ეტაპებმა და უახლოეს დღეებში დაარღვევს დუმილის უფლებას, გამოძიებას მისცემს ჩვენებას, – აღნიშნა ფანცულაიამ.

დაკავებულთან შეხვედრას აღარ აპირებენ მაღალი იერარქიის სასულიერო პირები. ამის შესახებ მედიას პატრიარქის მდივანმა მამა მიქაელ ბოტკოველმა ისაუბრა.

მისი თქმით, მამა გიორგის ვერც პატრიარქი შეხვდება და ვერც სინოდის წევრები.



მამა მიქაელ ბოტკოველმა რუსთავი 2-თან მიზეზებიც განმარტა. მისი თქმით, შეხვედრის შესაძლებლობას ილია II-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა.

– მისი უწმინდესობის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მან ჩაფიძის კლინიკაში ან საპატიმრო დაწესებულებაში მამა გიორგი მამალაძე მოინახულოს. რაც შეეხება საკითხს მამალაძის საპატრიარქოში მოყვანასთან დაკავშირებით, მე ვიცი, რომ კანონმდებლობით არ შეიძლება. ასეთი სურვილის შემთხვევაში მე არ ვიცი, როგორ მოიქცევა მისი უწმინდესობა, მაგრამ ვიცი, რომ ეს საკითხი საპატრიარქოში არ განიხილება. სინოდის წევრებიც აცხადებენ და სახელმწიფოს თხოვნა იყო, რომ რაც შეიძლება თავი შეიკავონ საპატიმრო დაწესებულებაში მისვლისგან მღვდელმთავრებმა, – განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბარში ბოტკოველმა.

კითხვაზე, რა იყო მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან თხოვნისა, რომ მღვდელმთავრებმა თავი შეიკავონ დაკავებულთან შეხვედრისგან, ბოტკოველი პასუხობს: „ალბათ, უსაფრთხოება, რადგანაც ნებისმიერი რისკი გამოირიცხოს მამა გიორგისთან მიმართებაში“.



## მამა გიორგი მამალაძე მატროსოვის ციხეში დააბრუნეს

რაც შეეხება მამალაძის ადვოკატების შესაძლო შეხვედრას სინოდის წევრებთან, ბოტკოველის თქმით, თუ ადვოკატები ოფიციალურად სთხოვენ წმინდა სინოდის წევრებს, ისინი, ალბათ, უარს არ ეტყვიან.

რაც შეეხება იმას, აქვს თუ არა თავად პატრიარქს სურვილი მამა გიორგი მამალაძეს შეხვდეს, მიქაელ ბოტკოველი აცხადებს, რომ „მას საჯაროდ ასეთი შინაარსის განცხადება არ გაუკეთებია“.

რა უსაფრთხოების დაცვაზე იყო საუბარი ამის შესახებ ინფორმაცია არც დაკავებულის ადვოკატებს აქვთ. სამაგიეროდ, დარწმუნებული არიან, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს.

გიორგი ფანცულაიას განცხადებით, პროკურატურის მიერ წარმოდგენილ მასალებში მამა გიორგის რაიმე დანაშაული არ ჩანს.

მისივე თქმით, მამა გიორგი სხვადასხვა



საექსპერტო გამოკვლევაში მონაწილეობას არ გაურბის.

– 20 თებერვალს მოსული იყო გამომძიებელი სხვადასხვა საექსპერტო ნიმუშის ასაღებად. მამა გიორგი არ გაურბის ამას, საჯაროდ თქვა და ოქმშიც დააფიქსირა, რომ ის აუცილებლად მიიღებს ამაში მონაწილეობას, როცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მისცემს ამის საშუალებას. ისიც დააფიქსირა, რომ კანონით გათვალისწინებულ ვადებს არ გადააცილებს. ბრალდებულმა ყველა მასალის შესახებ იცის, რაც აქვს პროკურატურას. თუ რამდენადაა ეს მასალები მტკიცებულება, ამის შესახებ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

ჯანმრთელობის გაუარესების გამო მამა გიორგი ჩაფიძის კლინიკაში 18 თებერვალს გადაიყვანეს. გუშინ, 22 თებერვალს, ის საპატიმრო დაწესებულებაში დააბრუნეს.

მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სკანდალურ განცხადებას აკეთებს არქიმანდრიტი ბართლომე.

– დეკანოზ გიორგი მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მას შემდეგ დამძიმდა, რაც ის რამდენიმე მღვდელმთავარმა ინახულა. ხომ არ ხდება მასზე ზეწოლა სიმართლის დამალვის მიზნით.

გაუგებარია სახელმწიფო მოხელეების და პრეზიდენტის ჩართულობა და აქტიურობა. მე აღვიქვამ პროკურატურაზე და საგამოძიებო უწყებაზე ზეწოლად ამ ყველაფერს.

ამჟამად ვინმეს ხელის დაფარება და საქმის მიჩქმალვა, უკიდურესად დაამძიმებს მომავალში ეკლესიის ცხოვრებას, – წერს არქიმანდრიტი ბართლომე ფეისბუქის პირად გვერდზე.

# აკაკი ბობოხიძე: „სანამ ხელისუფლებას იტანთ, იქნებით იმ დღეში, რა დღეშიც ხართ!“

შორენა მარსაგიშვილი

საკანონმდებლო ორგანოში ფარულ მოსმენებზე მცირე მასშტაბის კონფლიქტი წარმოიშვა. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას ნერვები მოუშალეს. მან საშველად სპიკერს უხმო. მან კი დამნაშავეები მიკროფონის გამორთვით დასაჯა.

სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც ბესელიამ მოსმენების შესახებ კანონპროექტის წარდგენა დაიწყო.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები მას სხვადასხვა კითხვებს უსვამდნენ, რომლებიც, ბესელიას თქმით, მის მიერ წარდგენილ საკითხს არ ეხებოდა. კომიტეტის თავმჯდომარემ ეჭვი გამოთქვა რომ ამ ხრიკით უმცირესობას დროის გაყვანა სურდა.

უმცირესობის თავნებობის აღსაკვეთად საქმეში სპიკერი ირაკლი კობახიძე ჩაერია. მან ყოფილი ხელი-



სუფლება მცირე საბოტაჟის მოწყობის მცდელობაში დაადანაშაულა.

ის უმცირესობას რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვის უზრუნველყოფით დაემუქრა, რაც მიკროფონის გათიშვას გულისხმობს.

ეს ამბავი უმცირესობას არ მოეწონა. მათ არც საბოტაჟის მოწყობა აღიარეს. დეპუტატ გიგა ბოკერიას აზრით, პარლამენტს საბოტაჟს თავად ხელისუფლება უწყობს.

– საბოტაჟია ის, როცა პარლამენტში არ დადიან მინისტრები და არც აძლევენ დეპუტატებს კითხვების დასმის საშუალებას. ამას ჰქვია საბოტაჟი და პარლამენტის ავტორიტეტის დაგდება და არა იმას, როცა დეპუტატები აბსოლუტურად კორექტულად, პროცედურულ უფლებამოსილებებს იყენებენ, – მიმართა ბოკერიამ ირაკლი კობახიძეს.

სპიკერის დამოძღვრის შემდეგ, გიგა ბოკერიამ პარლამენტს ინიციატივით მიმართა. მისი აზრით, იმ ოპერატორმა კომპანიებმა, რომელთა მეშვეობითაც ფარული მოსმენები ხორციელდება, უნდა გამოაქვეყნონ ყოველწლიური სტატისტიკა, თუ რამდენ მოქალაქეს უსმენენ.

– ამით უსაფრთხოებას არანაირი პრობლემა არ ექმნება. უბრალოდ გვეცოდინება, თუ როგორია დინამიკა. თქვენ გექნებათ საშუალება, მუდმივად შავ-ბნელ 9-წელიწადზე ისაუბროთ და თქვათ, რომ მაშინ უარესად იყო საქმე. ხოლო ჩვენ, ყველა დანარჩენს, ვისაც გვინდა, რომ სალი შეხედულება გვქონდეს ვითარებაზე, გვექნება საშუალება, ვნახოთ და გავიგოთ ოპერატორებისგან, რამდენ მოქალაქეს უსმენენ და როგორია ტენდენცია, – განაცხადა ბოკერიამ.

მან წარსული გამოცდილებაც გაიხსენა და მეოცნებეებს ამცნო, რომ წინა ხელისუფლებას ამ მიმართულებით სპეცსამსახურებზე არასაკმარისი კონტროლის უსერიოზულესი პრობლემა ჰქონდა.

„ევროპული საქართველოს“ გარდა, „ოცნებას“ მოსმენების კანონი ნაციონალებმაც დაუწუნეს. დეპუტატ თინა ბოკუჩავას თქმით, ის მოდელი, რომელსაც პარლამენტი განიხილავს, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო.

ბოკუჩავას თქმით, საზოგადოების მხრიდან იყო დაკვეთა, რომ არსებული სისტემა შეცვლილიყო და საქართველოში პოლიტიკური პოლიცია არ ყოფილიყო. დეპუტატის განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნოდ ეს დაპირებაც გასცა, მაგრამ სხვების მსგავსად, არც ეს შეასრულა.

ის დარწმუნებულია, რომ ამ ყველაფრის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას.

– მას სურს, რომ ყველა და ყველაფერი გააკონტროლოს ამ ქვეყანაში, სუს-ის მეშვეობით უკანონო მოსმენები გააგრძელოს. სწორედ ასეთი მოსმენების შედეგად მოვიდა ის ხელისუფლებაში და სურს, ამ ბინძური მეთოდებით შეინარჩუნოს ხელისუფლება, – განაცხადა დეპუტატმა.

მან იმ მოდელზეც ისაუბრა, რომელიც მისმა მშობლიურმა პარტიამ შეიმუშავა. მისი თქმით, მათ მიერ შემუშავებული პროექტი არის ხალხის სურვილის შესრულება.

– საზოგადოების დაკვეთა იყო, რომ ყოფილიყო დამოუკიდებელი სტრუქტურა და ამას გთავაზობთ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ჩვენი მოდელის მიხედვით, ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი უწყება უნდა შეიქმნას, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტთან, ანუ ჩვენთან და ის გააერთიანებს როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს.



გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სერგო რატიანი: „ირაკლი შოთაძემ პასუხი უნდა აგოს“

ნონა ცაბაძე

„ევროპულმა საქართველომ“ მთავარი პროკურორის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. მისი ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***— ბატონო სერგო, რატომ ითხოვთ შოთაძის გადადგომას, რით ასაბუთებთ ყოველივეს?***

— სრულიად ცალსახაა, რომ ხელისუფლება უხეშად ჩაერია ეკლესიის საქმეებში და დეზინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას. ასევე ეს იყო პირველი შთაბეჭდილების მოხდენა და გარკვეული მიმართულებით, საზოგადოების აზრის ჩამოყალიბების მცდელობას ჰქონდა ადგილი. ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთლიანად მთავრობას, მაგრამ უშუალოდ პროკურორს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება, რადგან საზოგადოებამ პირადად მისგან გაიგო ეს ყოველივე. სწორედ ამიტომ ვითხოვთ მის გადაყენებას და ვაგროვებთ ამისთვის ხელმოწერებს.

***— რამდენად საკმარისი იქნება თქვენი ხელმოწერები?***

— ბუნებრივია, ველოდებით, რომ ოპოზიცია შემოგვიერთდება და ჩვენ ასევე მივალთ უმრავლესობის წევრებთანაც.

***— უმრავლესობა რომ არ იზიარებს თქვენს მოთხოვნებს? ჩვენ მოვისმინეთ მათი პოზიცია.***



***ისინი აცხადებენ, რომ ოპოზიცია ჩქარობს და სიჩქარისას შეცდომებს უშვებს.***

— ამის მიუხედავად, ჩვენ მივალთ უმრავლესობის წევრებთანაც და ეს იქნება მათი პასუხისმგებლობა, რომ ამ ტყუილის ფონზე, ისინი იცავენ საკუთარ ხელისუფლებას და საკუთარ პროკურორს!

***— ნაციონალური მოძრაობა თუ უერთდება თქვენს მოთხოვნას?***

— ჩვენი ინფორმაციით, ისინი მზად არიან, შემოუერთდნენ ამ მოთხოვნას.

***— რატომ თვლით, რომ ამ საქმეში დაინტერესებული პირია პროკურორი და რომ ის უნდა ჩამოსცილდეს ამ საქმესაც და დაკავებულ თანამდებობასაც. რაში გამოიხატა მისი დაინტერესება?***

— მეორე დღესვე გაირკვა, რომ მან არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას! ეს ხომ ერთმნიშვნელოვნად ასეა?! ეს ხომ ძალიან მალე გაირკვა, რომ არც პატრიარქზე იყო საუბარი და არც მაღალი რანგის სასულიერო პირზე! აბსოლუტურად სხვა ბრალდებები წაუყენეს დაკავებულს. ეს არის დეზინფორმაცია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა სახეზეა! მას აშკარად სხვა ინფორმაცია ჰქონდა და საზოგადოებას სრულიად სხვა ინფორმაცია მიაწოდა! ამაზე კი მან პასუხი აუცილებლად უნდა აგოს!

***— თუ ეს ასეა, მაშინ რაში დასჭირდა პროკურატურას საზოგადოების შეცდომაში შეყვანა?***

— ეს ემსახურება ეკლესიის საქმეებში უხეშ ჩარევას. ეს არის საბჭოთა ტრადიცია და ეს არის თანამედროვე რუსული ტრადიცია, როდესაც ხელისუფლება უხეშად ერევა ეკლესიის საქმეებში და ცდილობს მის დაქვემდებარებას. ეს მეთოდი კი აშკარად ახლოს დგას რუს ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილთან. როდესაც შენ გინდა აზრის გარკვეული მიმართულებით ჩამოყალიბება, ამის მიღმა ყოველთვის დგას კონკრეტული ინტერესი და დღეს ეს ინტერესი აშკარად იკვეთება! ძალიან ძნელია, გააკეთო კომენტარი ბოლო დროს



განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

***— საპატრიარქო სრულ ნდობას უცხადებს გამოძიებას. ეს ყველაფერი წინააღმდეგობაში არ მოდის ერთმანეთთან?***

— ჩვენ ცალსახად ვნახეთ ტყუილი, საზოგადოებამ ნახა ტყუილი, ეს ყველამ დაინახა და ჩვენ ამაზე მოგვიწევს რეაგირება. ჩვენ ვართ საერო ხელისუფლების ნაწილი, საპარლამენტო ხელისუფლება და ჩვენ ამაზე უნდა მოვახდინოთ მწვავე რეაგირება!

## პატრიარქის კარდიოლოგი: „პატრიარქის მდგომარეობა სტაბილურია“



პატრიარქის ექიმის, შალვა პეტრიაშვილის განცხადებით, პატრიარქი დატოვებს თუ არა საპატრიარქოს, მასზეა დამოკიდებული, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პატრიარქის ექიმმა განუცხადა, რითაც უპასუხა შეკითხვას, შეიძლება თუ არა პატრიარქმა დატოვოს საპატრიარქო.

— მასზეა დამოკიდებული, თვითონ როგორც ჩათვლის საჭიროდ პატრიარქი.

როგორც შალვა პეტრიაშვილმა აღნიშნა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სტაბილურად არის.

— სტაბილურად არის. ახლა მივდივარ, უნდა მოვინახულო. ძალიან დიდი ოპერაცია გადაიტანა. საკმაოდ პრობლემები დახვდა და ვუფრთხილდებით მის ემოციურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას. ამჟამად მდგომარეობა კარგია. ოპერაციის შემდგომი პერიოდი მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას და სიმშვიდეს, — განაცხადა შალვა პეტრიაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ლინას ლინკიავიჩუსი: „რუსეთი საქართველოში სამხედრო კონფლიქტის პროვოცირებას ახდენს“

რუსეთის მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკა, მთელი მსოფლიოსთვის საშიშროების მომტანია.

ამის შესახებ ნიუ-იორკში ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკიავიჩუსმა განაცხადა.

მისი თქმით, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, ევროპაში იდეოლოგიური დაპირისპირება შენარჩუნდა.

ლინკიავიჩუსის თქმით, რუსეთი დნესტრისპირეთის, მთიანი-ყარაბაღისა და საქართველოს გაყინული კონფლიქტების პროვოცირებას ახდენს, გარდა ამისა, ლიტველი დიპლომატის თქმით, მოსკოვი „უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიას განაგრძობს“.

— ევროპაში სამხედრო კონფლიქტების დასასრულებლად საჭიროა გამოვიყენოთ რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა შესაძლებლობა, ასევე დიპლომატიური გავლენების საშუალებები, სანქციების ჩათვლით, — განაცხადა ლინას ლინკიავიჩუსმა.

**მედიანიუსი**

## გია შარვაშიძე „აუდიტორია 115“-ის წევრებს თსუ-ს მე-6 კორპუსის დაცლისკენ მოუწოდებს

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გია შარვაშიძე „აუდიტორია 115“-ის წევრებს თსუ-ს მე-6 კორპუსის დაცლისკენ მოუწოდებს.

როგორც გია შარვაშიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, სასწავლო წელი მალე, 3 მარტს იწყება, შესაბამისად, რექტორი იმედოვნებს, რომ „აუდიტორია 115“-ის წევრები გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებენ. მანვე ყურადღება გაამახვილა, რომ უნივერსიტეტი ავტონომიურია და ავტონომიურ რეჟიმში გადაწყვეტს საკითხებს.

— რაც შეეხება „აუდიტორია 115“-ს, რამდენად საუნივერსიტეტო თემატიკაა მათი მოთხოვნები, უკვე აღარ ვიცი, რადგან საუნივერსიტეტო მოთხოვნებიდან სხვა მოთხოვნებში გადაიზარდა. ბევრი რამ შევასრულეთ, რაც „აუდიტორია 115“-ს მოთხოვნილი ჰქონდა. მათ შორის, ამ კვირაში იქნება ჩემი შეხვედრა ჟურნალისტებთან, სადაც საუნივერსიტეტო სივრცეში მომხდარ სიახლეებს გავაჟღერებ. ამიტომ, ჩვენი



მისამართით საპროტესტო ნაკლებად არის დარჩენილი.

სასწავლო წელიწადი მალე, 3 მარტს იწყება. იმედი გვაქვს, დაიცლება მე-6 კორპუსი და საშუალება მოგვეცემა, რომ წყნარ გარემოში დავიწყოთ სასწავლო პროცესი ჟურნალისტებისთვის და სხვებისთვის, ვინც მე-6 კორპუსით სარგებლობს. ეს, მით უმეტეს მნიშვნელოვანია, რადგან მე-6 კორპუსში არის ის მოწყობილობა, რომელიც აუცილებელია პრაქტიკული საქმიანობისთვის.

სწავლების ხარისხზე ეს უარყოფითად მოქმედებს, ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ სტუდენტებს, თსუ-ს სტუდენტებს, ვინც იქ არიან, ნაწილი თსუ-ს სტუდენტი არ არის, ნაწილი საერთოდ სტუდენტი არ არის, ვინც არიან, დაცალონ ის ტერიტორია, — განაცხადა გია შარვაშიძემ.

ამასთან, თსუ-ს რექტორმა საუნივერსიტეტო სივრცეში განხორციელებულ სიახლეებს შორის, საუნივერსიტეტო ფონდის შექმნაზე ისაუბრა, რომელიც სტუდენტურ გრანტებს განიხილავს. მისივე ინფორმაციით, ასევე შემოღებულია ომბუდსმენის ინსტიტუტიც, რომელიც მედიატორის ფუნქციას შეასრულებს.

როგორც ცნობილია, „აუდიტორია 115“-ის მიერ თსუ-ს მეექვსე კორპუსის პიკეტირების გაგრძელების შემთხვევაში, სტუდენტებს სწავლის გაგრძელება ტურიზმის ცენტრში მოუწევთ.

**ინტერპრესნიუსი**

## რიკარდ იოზვიაკი: „ევროკავშირის ელჩებმა მწვანე შუქი მისცეს საქართველოს ვიზალიბერალიზაციას“

— ევროკავშირის ელჩებმა მწვანე შუქი მისცეს შეჩერების მექანიზმს და საქართველოს ვიზალიბერალიზაციას. ევროკავშირის მინისტრები ამას 27 თებერვალს დაამტკიცებენ.

ამის შესახებ „რადიო თავისუფლების“ ბრიუსელის ბიუროს რეპორტიორი რიკარდ იოზვიაკი „ტვიტერის“ პირად გვერდზე წერს.

ევროპარლამენტის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე თანხმობის მიცემასთან დაკავშირებით ჩ ღ ღის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი) ტექნიკური სხდომა იყო დანიშნული. ამის შემდეგ, თებერვლის ბოლოს, საკითხს ევროკავშირის საბჭო განიხილავს.

ევროპარლამენტმა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას 2 თებერვალს გამართულ პლენარულ სხდომაზე დაუჭირა მხარი.

ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდეგ, ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლას შეძლებენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ვიქტორ დოლიძე: „დარწმუნებული ვარ, ვიზალიბერალიზაციის საკითხზე დადებით პასუხს მივიღებთ“



საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე ევროპარლამენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ევროკავშირის საბჭო 28 თებერვალს იმსჯელებს.

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ვიქტორ დოლიძის განცხადებით, ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის, რაც იმის მანიშნებელია, რომ გადაწყვეტილება დადებითი იქნება.

— შემდეგ უკვე, 28 თებერვალს მოხდება საკითხის შეტანა საბჭოს სხდომის დღის წესრიგში, სადაც დარწმუნებული ვარ, დადებითი პასუხი იქნება გაცემული პარლამენტის გადაწყვეტილებაზე, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

**პირველი რადიო**

## აკაკი ბობოხიძე: „სანამ ხელისუფლებას იტანთ, იქნებით იმ დღეში, რა დღეშიც ხართ!“

**დასაწყისი მე-2 გვერდზე**

თქვენ კარგად გესმით, რომ ის, რაზეც ახლა მსჯელობს პარლამენტი, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო, თუმცა არაფერს აკეთებთ, რადგან ასეთია ივანიშვილის ნება, — განაცხადა ბოკუჩავამ.

ახალი მოდელი არც აკაკი ბობოხიძეს მოსწონს, მაგრამ ის ხელისუფლებაზე მეტად ხალხზეა გაბრაზებული.

დეპუტატი ამბობს, რომ სანამ ხალხი ასე გაგებით მოეკიდება ხელისუფლების ყველა ქმედებას, სულ შავ დღეში იქნება.

— „ქართული ოცნება“ მაგონებს ერთ-ერთ ქართულ ფილმში სანდრო ჟორჟოლიანის გმირს, რომელიც გოჭს კლავს და მერე მეპატრონეს ეუბნება, შენ რა გაჯავრებს, პატრონი არაფერს



ჩივაო.

სწორია „ქართული ოცნება“! პატრონი ანუ ქართველი ხალხი ხმას არ იღებს — უზრდიან გადასახადებს, ხმას არ იღებს, გატრუნულია! ჩაუძვრებიან ჯიბეში, ხმას არ იღებს, გატრუნულია, — განაცხადა ხალხის მდუმარებით შეძრწუნებულმა ბობოხიძემ და ერს იქვე დიაგნოზიც დაუსვა.

მან ხალხს არჩევნები და ნაყიდი ხმებიც გაახსენა.

— ამიტომ, ქართველო ხალხო, სანამ თქვენი მოთმინება ამ ხელისუფლებას იტანს, იქნებით იმ დღეში, რა დღეშიც ხართ! ჩემი დამოკიდებულება ჩემს ძვირფას ქართველ ხალხთან არის მარტივი — თუ უნდათ, რომ არ იწუწუნონ, ხმა 20 ლარზე არ უნდა გაყიდონ, თუ უნდათ, რომ გაჭირვებას არ შეეგუონ, ამ ხელისუფლებასაც ისე უნდა მოსთხოვოს პასუხი, როგორც სხვა წინა ხელისუფლებას მოსთხოვეს, — განაცხადა ბობოხიძემ.

აზარტში შესული ბობოხიძე კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ კობახიძემ მას მიკროფონი გაუთიშა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# საქართველო აშშ-თან სტრატეგიულ თანამშრომლობას აძლიერებს

მარიამ მჭედლიშვილი

ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ საქართველო-ამერიკის ურთიერთობებში გარკვეული პაუზა შეიქმნა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში ამ მხრივ სიახლეები გაჩნდა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აშშ-ში ვიზიტისა და პრემიერ-მინისტრის მიუნხენში გამართული შეხვედრების შემდეგ ქართველი ექსპერტების ნაწილი იმედიანადაა განწყობილი. ქართველი ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველოსა და მის სტრატეგიულ პარტნიორს შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად პირველი ნაბიჯები გადაიდგა. ამას მოჰყვება ქვეყნის პირველი პირების ოფიციალური ვიზიტები ამერიკაში და კონკრეტული გადაწყვეტილებები.

ქართველი ანალიტიკოსებისა და პოლიტიკოსების ერთი ჯგუფი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ინტერესებს წაადგება ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება. მეორე ჯგუფის აზრით, საქართველოსთვის მომგებიანია ამერიკასა და რუსეთის ურთიერთობების მოწესრიგება.

ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში ყველაფერი ბოლომდე გარკვეული არ არის. ბოლო მონაცემებით, დონალდ ტრამპი მზადაა რუსეთთან დადოს შეთანხმება ტერორიზმთან ბრძოლისა და ეკონომიკის სფეროებში. ცოტა ხნის წინ აშშ-ის პრეზიდენტმა მწვავე განცხადებები გააკეთა რუსეთის მისამართით. ის შეეხო დონბასში შექმნილ ვითარებასა და ყირიმს, რომელიც რუსეთმა მიიერთა. ამით ახალმა პრეზიდენტმა გამოიწვია რუსეთის საზოგადოების იმედგაცრუება.

ამერიკელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ თუ დონალდ ტრამპს რუსეთთან სიტუაციის ნორმალიზება უნდა, ის ამას ადვილად მოახერხებს, რადგან მოლაპარაკებების უნარი აქვს. ბარაქ ობამა, მათი აზრით, ცუდი მომლაპარაკებელი იყო, ვინაიდან, ყველგან კითხულობდა ლექციებს ფასეულობებზე.



**მსოფლიოში ახალი ალიანსები იქმნება**

რუსი ექსპერტები აღარ გამოხატავენ ილუზიებს ტრამპის მიმართ, თუმცა, აღიარებენ მის როლს და ამერიკის გავლენას მსოფლიოზე. ეს მიმომხილველები არასერიოზულად აღიქვამენ ევროკავშირის მთავარი დიპლომატის, ფედერიკა მოგერინის განცხადებას იმაზე, რომ ამერიკამ შეიძლება დაკარგოს მსოფლიო ლიდერის როლი.

ევროპაში ჩნდება კითხვები ევროკავშირის მომავლის მიმართ. ამ მხრივ დაბნეულობა შეინიშნება პოლონეთის ხელისუფლებაში.

პოლონური „რეჩ პოსპოლიტას“ შეფასებით, იმ დროს, როცა ევროკავშირში განიხილავენ ნატოსგან დამოუკიდებელი ერთიანი სამხედრო ძალების შექმნის საკითხს, იაროსლავ კაჩინსკი ხან ამერიკულ ბირთვულ ქოლგას ეპოტინება და ხან აცხადებს, ევროკავშირი ბირთვულ ალიანსად უნდა გარდაიქმნას.

გამოცემის აზრით, ევროკავშირი, ადრე თუ გვიან, დაიშლება, პოლონეთი კი ამის გამო უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდება. საფრანგეთი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაუბრუნდება თავის ტრადიციულ პოლიტიკას. საფრანგეთის ტრადიციული პოლიტიკა გულისხმობს გერმანიასთან დაპირისპირებას, პოლონეთისადმი სიმპათიას და რუსეთთან მეგობრობას.

„რეჩ პოსპოლიტა“ ურჩევს პოლონეთის ხელისუფლებას, გაიაზროს ახალი რეალობა, ევროკავშირის დაშლის საფრთხე და დაამყაროს მჭიდრო კავშირი საფრანგეთთან და რუსეთთან.

ახალი ალიანსის ჩამოყალიბების ნიშნებს მიმომხილველები ხედავენ საქართველოს მეზობლადაც. რამდენიმე დღის წინ ბაქოში გაიმართა აშშ-ის გაერთიანებული შტაბების მეთაურის, ჯო დანფორდისა და რუსეთის შტაბების უფროსის ვალერი გერასიმოვის შეხვედრა. ექსპერტების შეფასებით, აშშ, რუსეთი და აზერბაიჯანი ირანის წინააღმდეგ ერთიანდებიან. მათი აზრით, აზერბაიჯანი ამერიკამ და რუსეთმა აღიარეს სამხრეთ კავკასიის საკვანძო სახელმწიფოდ და მოლაპარაკებების მოედნად.

ანტიირანული კოალიცია შეიძლება თურქეთის მონაწილეობითაც შეიქმნას. თურქეთმა მოლაპარაკებები გამართა ბახრეინთან, საუდის არაბეთთან და ყატართან. დამოუკიდებლად მოქმედებს თურქეთი თუ მისი ნაბიჯები დონალდ ტრამპის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ნაწილია, უცნობია. ირანთან დაძაბულობის გამო მოსალოდნელია, რომ თურქეთს გაურთულდეს ურთიერთობა რუსეთთან.

# „მთავრობამ 50.000 ადამიანი დაზღვევის გარეშე დატოვა“

ნონა ცაბაძე

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას ინფორმაციით, მთავრობამ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან 50 ათასი ბენეფიციარი ამოიღო და ისინი დაზღვევის გარეშე დატოვა. ამ თემაზე ის „ახალ თაობას“ ესაუბრება.



## კახა კუკავა: „სერგეენკომ ტყუილი თქვა“



***– ბატონო კახა, რა ხდება ჯანდაცვის სამინისტროში და რატომ ტოვებენ ამდენ ადამიანს დაზღვევის გარეშე?***

– ჯანდაცვის სამინისტროს და ზოგადად მთავრობას აქვს სერიოზული ფინანსური პრობლემები. დეფიციტია ბიუჯეტში და ამის გამო ცდილობენ ხარჯების შემცირებას. უბრალოდ, ძალიან უცნაურია ერთი რამ, რომ ხარჯების შემცირება ხდება ჯანდაცვის ხარჯზე! მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, როდესაც არის ბიუჯეტში კრიზისი, მცირდება ბიუროკრატიული ხარჯები, მცირდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ხარჯები, მცირდება გართობაზე გამოყოფილი ხარჯები, მაგრამ ძალიან იშვიათად მსმენია, რომ მცირდებოდეს სოციალური ხარჯები.

***– ჩვენთან პირიქით მოხდა?***

– რა თქმა უნდა! მთავრობას არ ჩაუთვლია საჭიროდ, რომ აეროსმიტის კონცერტი გაეუქმებინა და 50 ათას ადამიანს უუქმებენ საყოველთაო დაზღვევას!

***– ჯანდაცვის სამინისტროს არგუმენტი ასეთია, რომ ისინი კერძო დაზღვევის მქონე პირებს იღებენ საყოველთაო დაზღვევიდან. ასე არ არის?***

– რაც შეეხება არგუმენტს, რომელსაც ფორმალურად ისინი ამბობენ, რომ კერძო დაზღვეულებს და მილიონერებს რაში სჭირდებათ საყოველთაო დაზღვევა, ეს არის აბსურდი! ამ დაზღვევით არ სარგებლობენ ის ადამიანები, რომლებსაც ეს ე.წ 5 ვარსკვლავიანი სადაზღვევო პაკეტები აქვთ.

მთავრობას შეუძლია თქვას, რომ ვისაც კერძო დაზღვევა აქვს, იმას საყოველთაო დაზღვევა არ შეეხება, მაგრამ მთელს მსოფლიოში, ცივილიზებულ ქვეყნებში, აპრობირებულია ერთი პრინციპი, რომ კანონს არ აქვს უკუქმედებითი ძალა. ნებისმიერი ქვეყნის კანონი უნდა იყოს პროგნოზირებადი, იმისთვის, რომ ენდობოდეს მას ადამიანი.

***– ჩვენთან პირიქით არის თუ რისი თქმა გინდათ?***

– დაზღვევის პრინციპი ასეთია, რომ ადამიანები ეზღვევიან ყოველი წლის განმავლობაში ერთი წლის მანძილზე და ასე გრძელდება ყოველწლიურად. ადამიანებმა ნოემბერ-დეკემბერში იყიდეს სადაზღვევო პაკეტები, დაეზღვივნენ სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიებში იმ პირობით, რომ საყოველთაო დაზღვევა ხომ აზღვევს დაახლოებით 70%-ს, დანარჩენი 30% იყიდეს კერძო დაზღვევიდან და შუა წელს, როდესაც მათ ეს პაკეტები უკვე აქვთ, გამოდის ჯანდაცვის მინისტრი და ეუბნება, რომ არა, საყოველთაო დაზღვევა თქვენ არ შეგეხებათ.

***– ეს მიდგომა არასწორია?***

– დავუშვათ, შინაარსობრივად დასაშვებია ასეთი მიდგომა, ასეც რომ იყოს, ეს უნდა ამოქმედებულიყო 2018 წლის პირველი იანვრიდან! სად გაგონილა ასეთი კრეტინიზმი?! შუა წლიდან ვინ ცვლის ხელშეკრულებებს?! ადამიანებზე საერთოდ არ ზრუნავენ. ხალხი არავის აინტერესებს. ადგნენ და 50 ათასი ადამიანი დატოვეს დაზღვევის გარეშე! პირად მაგალითზე გეტყვით, სამი შვილი მყავს და დამყავს ეს ბავშვები ერთი კლინიკიდან მეორეში და მესამეში...

***– საყოველთაო დაზღვევით სარგებლობთ?***

– მე არ ვსარგებლობ საყოველთაო დაზღვევით, მაგრამ შუა წელს რომ მითხრას ჩემმა სადაზღვევო კომპანიამ, თქვენი დაზღვევა გაუქმებულიაო, წარმომიდგენია, რამდენი პრობლემის წინაშე დავდგები. ძალიან სამწუხაროა, ჩვენს მთავრობას არ ანაღვლებს, რომ 50 ათასი დედა და მათი 100 ათასი შვილი ამხელა პრობლემის წინაშე რომ დააყენა! თუ სხვა გზა არ იყო, ეს ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო 2018 წლის დასაწყისიდან.

***– ჯანდაცვის პროგრამის სიკეთეებზე ხელისუფლების ოპონენტებიც კი დადებით კონტექსტში საუბრობდნენ. ანუ აქაც არ არის რიგზე ყველაფერი?***

– ყველა ამას ამბობდა, რომ ერთი, რაც გააკეთეს კარგი, ეს იყო საყოველთაო დაზღვევა, თუმცა ეს ერთიც თავიდანვე ხარვეზიანი იყო.

***– რატომ იყო ხარვეზიანი?***

– ბიძინა ივანიშვილი ამ თემაზე მიტინგებს გვიმართავდა და 100%-იან უფასო დაზღვევაზე გველაპარაკებოდა, თუმცა 100%-იანი არ განხორციელებულა, განხორციელდა 70%-იანი დაზღვევა, მაგრამ არასდროს ამის გამო არ გაგვიკრიტიკებია მთავრობა, იმიტომ, რომ სხვა დაპირებები საერთოდ არ შეასრულა და ეს დაპირება 70%-ით მაინც შეასრულა. ამისთვის სულ მადლობას ვუხდიდით, თუმცა ახლა ეს 70%, რეალურად ჩამოიყვანეს 40-45%-ზე!

ეს სამართლებრივადაც არასწორია. ჯანდაცვის მინისტრმა დაარღვია კონსტიტუციის ძირითადი პრინციპი – კანონს არ აქვს უკუქმედებითი ძალა, ამიტომ მთავრობამ დეკემბერში თუ უთხრა ხალხს, რომ მე თქვენთვის ვყიდულობ საყოველთაო დაზღვევას ერთი წლით, არ შეიძლება, რომ თებერვალში უთხრას, არა, აღარ ვყიდულობ.

***– რა შეიცვალა დეკემბრის შემდეგ, მიხვდნენ, რომ ამდენზე ბიუჯეტი ვერ გაწვდება?***

– ბიუჯეტი ნამდვილად არ ჰყოფნით, ძალიან ბევრ მუხლში არის გარღვევა. იგივე ჯანდაცვის სამინისტროს კუთხით. დაბრუნდა შევარდნაძის დრო ჯანდაცვის სისტემაში!

***– რას გულისხმობთ?***

– შეგიძლიათ ნებისმიერ კლინიკაში გადაამოწმოთ, ან ნაცნობი გეყოლებათ და ჰკითხეთ – ექიმები ახლა იღებენ აგვისტოს და სექტემბრის ხელფასებს. იმიტომ, რომ ეს კლინიკები დამოკიდებულები არიან ჯანდაცვის სამინისტროდან ჩარიცხვებზე და ეს ჩარიცხვები ხორციელდება თვეობით.

***– ჯანდაცვის მინისტრმა კლინიკებს დასდო ბრალი თანხების არამიზნობრივად განკარგვაში. ამაზე რას იტყვით?***

– გადავამოწმე მე ეს ინფორმაცია და მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის მინისტრის მიმართ არ მაქვს ანტიპათია, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრათ და ამას დავადასტურებ დოკუმენტებით ნებისმიერ დროს, თუკი ჯანდაცვის მინისტრი ამას გააპროტესტებს, ჯანდაცვის მინისტრმა იმ დღეს მოიტყუა! ის, რაც თქვა სერგეენკომ იმ დღეს, რომ ეს არის კლინიკების ბრალი, ეს იყო წმინდა წყლის ტყუილი.

# ალეკო ელისაშვილი: „კეთილი ინებოს ნარმანიამ, ჩაიხედოს კანონში და მოცუნცულდეს საკრებულოში“



დავით ნარმანიას და მერიის თანამშრომლებს იბარებენ ისევ საკრებულოში. საკრებულოს დეპუტატებს დედაქალაქის მერთან მოსამართლე ნატა ნაზღაიძის ოჯახისთვის ერთი მილიონი ლარის გადაცემის საკითხზე კითხვები აქვს.

ნარმანიას არგამოცხადებას კი კანონის უხეშ დარღვევას უწოდებენ და აცხადებენ, რომ თუ ნარმანია არ მივა საკრებულოში, გამოიკვეთება სისხლის სამართლის ნიშნები, რადგან ეს უკვე იქნება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაცდომა.

– აქ არ ვთამაშობთ სახლობანას, ძალიან მძიმე კორუფციულ სკანდალზე ვლაპარაკობთ, იმაზე, რომ მოსამართლეს გარკვეული გადაწყვეტილების სანაცვლოდ ჯიბეში ჩაუდეს მილიონიანი ქონება. ამასთან დაკავშირებით პასუხები გვჭირდება, კეთილი ინებოს ნარმანიამ, ჩაიხედოს კანონში და მოცუნცულდეს საკრებულოში, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი კი აცხადებს, რომ თავად დავით ნარმანია გადაწყვეტს, როდის მობრძანდება საკრებულოში.

პირველი რადიო

# „პატრიოტთა ალიანსი“ ID ბარათის ნაცვლად „ქაღალდის მოწმობების“ გაცემას ითხოვს

პატრიოტთა ალიანსი ელექტრონული ID ბარათის ნაცვლად, სურვილისამებრ, ქაღალდის მოწმობების გაცემასაც ითხოვს.

დავით თარხან-მოურავი იუსტიციის მინისტრს მოუწოდებს, დაიცვას კანონი და მოქალაქეებს მისცეს შესაძლებლობა, მიიღონ ქაღალდის პირადობის მოწმობა.

– შეიქმნას ჩვეულებრივი შიდა პასპორტი, ქაღალდის პასპორტი, სადაც იქნება თავმოყრილი ნებისმიერი ინფორმაცია ადამიანის შესახებ, – განაცხადა დავით თარხან-მოურავმა.

პირველი რადიო

# სევდია უგრეხელიძე: „ნარმანია ივანიშვილის დავალებების საუკეთესო შემსრულებელია“

ნათია ხურცილავა

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი სევდია უგრეხელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, თბილისის მერის არჩევნებზე მერობის სახელისუფლო კანდიდატი კვლავ დავით ნარმანია იყოს.

***– ქალბატონო სევდია, მას შემდეგ, რაც საკრებულოში მერიის თანამშრომლები არ მივიდნენ, დედაქალაქის მერს იბარებთ, თუ არ მივიდა, საკრებულოში როგორ განვითარდება მოვლენები?***

– დავით ნარმანიამ იცის, რომ წელიწადზე ნაკლები დრო არის დარჩენილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე და იმპიჩმენტის პროცედურას კანონის შესაბამისად ვერ დავიწყებთ. ეს იცის შესანიშნავად და ამით სარგებლობს. საკრებულოს დეპუტატებს კანონით ამ დროისთვის მხოლოდ მერის დაბარება და მისთვის კითხვების დასმა შეგვიძლია. ის აუცილებლად მობრძანდება, რადგან ეს მისი პირდაპირი ვალდებულებაა.

***– რა კითხვები გაქვთ?***

– ის შუალედური ანგარიშით უნდა წარდგეს საკრებულოს წინაშე, ეს მისი პირდაპირი ვალდებულებაა, როგორც თბილისის მერის. ჩვენ გვაინტერესებს, ახალი წლის დღეებში სად გააქრო ერთი მილიონი?! რატომ მოხდა იმ ადამიანისთვის ქონების ანაზღაურება, რომელსაც ქონება არ ეკუთვნოდა?! რატომ მოატყუეს ის 21 ადამიანი, საკრებულოს უმრავლესობის დეპუტატი, რომლებმაც ხმა მისცეს?! ეს საკუთრება აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს. საკრებულოს ოპოზიციურ პარტიებს, ერთობლივად და დამოუკიდებელ დეპუტატებს ეს საქმე პროკურატურაში გვაქვს შეტანილი. თუ თაროზე შემოდებს ეს პროკურატურა მილიონის საქმეს, მაშინ მე ვარწმუნებ დავით ნარმანიას, რომ მოვა სხვა ხელისუფლება, ვინც არ უნდა იყოს, არა აქვს მნიშვნელობა და ის აუცილებლად გამოიძიებს ამ საქმეს.

***– ნარმანიამ განაცხადა, რომ პოლიტიკური შოუს დადგმა არ სურდა.***

– დიახ, აცხადებს, რომ პოლიტიკური შოუს დადგმა არ სურს, ჩვენ ყველანაირად შევეცდებით, რომ პოლიტიკური შოუ არ გამოვიდეს, მაგრამ იცოდეს, რომ კითხვებზე პასუხებს მოვთხოვთ. ჩვენ, კანონის საფუძველზე ვიბარებდით მერიის იმ თანამშრომლებს, რომლებმაც უშუალოდ მიიღეს გადაწყვეტილება მოსამართლე ნაზღაიძის ოჯახისთვის მილიონიანი ქონების გადაცემის შესახებ. ამ თანამდებობის პირებს ვიბარებდით, რადგან კონკრეტული კითხვები გვქონდა მათთან და იქნებ მათაც ჰქონდათ კონკრეტული არგუმენტები?





იქნებ გვარწმუნებდნენ, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ როგორც ბატონმა ნარმანიამ ბრძანა თურმე, მას არ გამოუშვია. ეს როგორ შეიძლება?! როგორც ჩანს, ამასობაში წერა-კითხვაც დაავიწყდა, რადგან კანონის მოთხოვნაა, რომ საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი ხელისუფლება. ეს წერია რეგლამენტში, ეს წერია თვითმმართველობის კოდექსში, ეს წერია თვითმმართველობის ქარტიაში და ეს ამავდროულად არის საერთაშორისო ვალდებულება.

თუმცა, დავით ნარმანია აცხადებს, რომ პოლიტიკური შოუს დადგმა არ უნდოდა და ამიტომ არ გამოუშვა თანამშრომლები. მაშინ, როდესაც 13 ოჯახი არის დარჩენილი სტიქიით დაზარალებული და მათ ნამდვილად ეკუთვნით კომპენსაცია, მაგრამ დღემდე არ მიუღიათ. ზოგს სასამართლოში აქვს საქმე მოგებული, ზოგი კი იმ წესში არ იყო შეყვანილი, რომლის მიხედვითაც მოხდა დაზარალებულთა დაკმაყოფილება.

გაოცებული ვართ, თუ როგორ მოატყუეს საკრებულოს უმრავლესობა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მილიონიანი ქონების გადაცემაში, მაშინ როდესაც, საქართველოს ბანკს ეკუთვნოდა ის მიწა.

***– რას ითხოვთ?***

– იმ ადამიანების დაკმაყოფილებას, რომელთაც საქმე პროკურატურაში აქვთ შეტანილი, ზოგს სასამართლოში. ეტაპობრივად უნდა შესულიყო სტიქიით დაზარალებულთა დაკმაყოფილების წესში ცვლილებები, მაგრამ არ შეიტანეს დღემდე. ქირით ჰყავთ ეს ადამიანები, ჰაერში ფლანგავენ ფულს, რადგან არ უნდათ აღიარონ დაზარალებულებად. რისთვის არსებობს მერიის სარეზერვო ფონდი, ამ ფონდიდან მოხდეს ამ ადამიანებისთვის დახმარება, „ბავშვთა სამყაროს“ დაზარალებულების დახმარება, რომლებიც შიმშილობენ.

***– საუბრები არის, რომ ადგილობრივ არჩევნებზე მერობის კანდიდატი შეიძლება კვლავ დავით ნარმანია იყოს.***

– ნამდვილად არ გამიკვირდება.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ის არის იშვიათი შემსრულებელი ივანიშვილის ნების.

***– გამოდის, არ გამორიცხავთ, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატი ნარმანია იყოს?***

– არ გამოვრიცხავ. მეტიც, საერთოდ არ გამიკვირდება, რომ ხელისუფლებამ, ივანიშვილმა თავად წარადგინოს ნარმანია თბილისის მერის არჩევნების კანდიდატად. მეეჭვება, რომ, მაგალითად, კახა კალაძე დააწინაურონ და პრემიერი ან თუნდაც თბილისის მერი გახდეს.

***– როგორც ამბობენ, კალაძესაც სურს მერობა. გამორიცხავთ, რომ ის იყოს მერობის კანდიდატი?***

– მეეჭვება, რომ კალაძე დააწინაურონ.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ კალაძე ბევრად უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება თუნდაც ივანიშვილის თვალში. გარკვეული ბეგრაუნდი აქვს, საკუთარი თანხები აქვს, რომელიც მისი შრომით აქვს მოპოვებული. მას აქვს პრინციპები, ასევე კალაძემ გამოიჩინა გარკვეული პრინციპულობა, რომელიც ბევრს არ მოეწონა ხელისუფლების შიგნით, გუნდში.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ყოფილი ნაციონალების პორტირებას შეუშალა ხელი „ქართულ ოცნებაში“. მაშინ კალაძე აშკარა წინააღმდეგი წავიდა უპრინციპო ადამიანების ხელისუფლებაში გადაბარგების. ამის კარგი მაგალითი იყო თუნდაც შიხიაშვილი. მოღალატე წვრილფეხობა რომ არ გაიკარა არც საპარლამენტო სიებში, არც არსად თანამდებობებზე, ეს იყო მისი გარკვეული პრინციპი, რითაც ნამდვილად იყო ბევრი ადამიანი კმაყოფილი, ცხადია, ვგულისხმობ ამომრჩეველს. კალაძე ასევე თანმიმდევრულია თავის დაპირისპირებაში ოპოზიციის მიმართ, ნაციონალური მოძრაობის მიმართ. არ ვარ დარწმუნებული, რომ ნაციონალების გაყოფის შემდეგ, რომელიმე ფრთას დაუჭიროს მხარი. კალაძე უფრო შთამბეჭდავი ფიგურაა და ასეთი ფიგურის დაწინაურებას არ მოინდომებს.

# ნანა დევდარიანი: „აფხაზეთიდან რუსების გაყვანა შესაძლებელია“

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ ნანა დევდარიანთან

***– ქალბატონო ნანა, მიუნხენში ჩატარებულმა კონფერენციამ უსაფრთხოების მხრივ რა შეიძლება მისცეს საქართველოს?***

– მიუნხენის კონფერენცია არ არის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ადგილი, მაგრამ ის მოედანია, სადაც წამყვანი ქვეყნები თავის პოზიციას აფიქსირებენ.

***– პოლიტიკურ საკითხებზე ჟენევის ფორმატში მსჯელობენ. ჟენევის მოლაპარაკების მონაწილე ქართველი პოლიტიკოსები მეუბნებიან, რომ დაიწყება თუ არა საუბარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, რუსები წყვეტენ საუბარს და წყდება მოლაპარაკებები, ანუ რუსეთი დეოკუპაციის საკითხზე საქართველოს არ ესაუბრება. ეს ბარიერი როგორ შეიძლება გადაილახოს?***

– ჯერ ერთი, ეს ასე არ ხდება, როგორც ამბობენ ხოლმე წინა ხელისუფლების მხარდამჭერი ექსპერტები – ჯერ რუსეთმა გაიყვანოს ჯარი, დაგვიბრუნოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი და მერე ვილაპარაკოთო. მერე რა უნდა ილაპარაკო, ხომ ვერ მეტყვი? რუსები, რა, სულელები არიან? ყველაფერი თუ შეგისრულეს, მერე რაღაზე უნდა დაელაპარაკო? ამიტომ როცა შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი და სხვა წამყვანი ქვეყნები ხვდებიან, რომ რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლობა ყველაფერს ართულებს, შენც უნდა მიხვდე, რომ რაღაც ისეთი შესთავაზო, რაც ზის მის ინტერესებში. ასეთი შეთავაზება ქართული მხრიდან არ არის.

***– რა შეიძლება შესთავაზოს ქართულმა მხარემ რუსეთს?***

– მაგალითად, უბლოკო სტატუსი. მაშინ შეიძლება ამ მკვდარი წერტილიდან დაიძრა. უბლოკო სტატუსის პირობებში საქართველოს გაერთიანდება, ეს რუსეთის ინტერესში უნდა იყოს.

***– უბლოკო სტატუსის განხორციელება რეალურია?***

– ყველაფერი რეალურია, თუ პოლიტიკური ნება და გადაწყვეტილებები მიიღება. უბლოკო სტატუსი მოლაპარაკების საგანია. თუ არ გამოვა, ე.ი. არ გამოვა, მაგრამ საერთოდ რომ არაფერი სცადო, არ არის ლოგიკური მიდგომა.



**ყველაფერი რეალურია, თუ პოლიტიკური ნება და გადაწყვეტილებები მიიღება. უბლოკო სტატუსი მოლაპარაკების საგანია. თუ არ გამოვა, ე.ი. არ გამოვა, მაგრამ საერთოდ რომ არაფერი სცადო, არ არის ლოგიკური მიდგომა. რუსეთს ეუბნებიან, ჯერ ჯარი გაიყვანე, ტერიტორიები დაგვიბრუნე და მერე დაგელაპარაკებითო. მერე რა უნდა ელაპარაკო?**

რუსეთს ეუბნებიან, ჯერ ჯარი გაიყვანე, ტერიტორიები დაგვიბრუნე და მერე დაგელაპარაკებითო. მერე რა უნდა ელაპარაკო?

***– უბლოკო სტატუსი ჩვენთვის მომგებიანია?***

– ნეიტრალიტეტზე უკეთესი ფორმულაა. ნეიტრალიტეტისაგან განსხვავებით, უბლოკო სტატუსი ხელს არ გიშლის საერთაშორისო მისიებში მონაწილეობაში – ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები რომ არიან ავღანეთსა და სხვა ადგილებში. შეიარაღების და სხვა ამგვარ პროგრამებში მონაწილეობის პრობლემას უბლოკო სტატუსი არ ქმნის. უბრალოდ, საქართველო აცხადებს, რომ არ ვიქნებით არც ერთი სამხედრო ბლოკის წევრი, არც – ნატოს, არც – ოზეკაზეს და არც რომელიმე სხვისი.

***– უსაფრთხოების გარანტია რა იქნება?***

– უსაფრთხოების გარანტია არის რუსეთის ინტერესი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ იყოს ნატოს ბაზები. ეს არის უპირველესი გარანტია. თუმცა, ეს წინადადეება თუ არ წავიდა ქართული მხარისაგან, რუსები ნამდვილად არ დაიწყებენ ამაზე ლაპარაკს. მათ თავიანთი მისია საქართველოში შეასრულეს, 2008 წელს აღიარეს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რომლებიც 1990-იანი წლების შემდეგ არ უღიარებიათ. ამ სტატუს ქვოს შენარჩუნება აწყობს მხოლოდ რუსეთს.

***– ამ აღიარების შემდეგ, როდესაც რუსეთი ამ ტერიტორიებს აღარ განიხილავს ჩვენი ქვეყნის ნაწილად, საქართველოს უბლოკო სტატუსს, რა თქმა უნდა, დათანხმდება. რუსეთი იტყვის, რომ საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ჩვენ ვაღიარებთ, ფეხს არ შევდგამთო.***

– არა, ეს ასე არ ხდება. ინიციატივაში, რომელიც ბურჯანაძემ პარლამენტში დაარეგისტრირა, გარკვევით წერია, რომ უბლოკო სტატუსი ამოქმედდება 1991 წლის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, რაც ჩვენთვის ძალიან საყურადღებო მომენტია. შეუძლებელია დანარჩენ საქართველოში გამოაცხადო უბლოკო სტატუსი. ლაპარაკია იმაზე, რომ მთლიანი საქართველოს – 1991 წელს აღიარებულ საზღვრებში იქნება უბლოკო სტატუსი. უამისოდ არ იქნება.

***– თქვენ გგონიათ და გაანალიზებული გაქვთ, რომ რუსეთი დათანხმდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოსთვის დაბრუნებას უბლოკო სტატუსის პირობებში?***

– ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, რომ გვგონია, რუსეთი დაგვიბრუნებს ტერიტორიებს და ის იქნება ჩვენი. ტერიტორიების დაბრუნება შეუძლებელია აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკების გარეშე. როცა ჩვენ ვაცხადებთ, რომ ყველა შემთხვევაში ნატოს წევრები გავხდებით და არაფერს ვეკითხებით აფხაზებსა და ოსებს, ეს მათთვის სიგნალია. მათ ნატოში ყოფნა არ უნდათ. მით უმეტეს, ნატოში არც გვიღებენ და არც მიგვიღებენ. უბლოკო სტატუსი კი აფხაზებისა და ოსებისთვის მისაღები იქნება.

***– უბლოკო სტატუსის შემთხვევაში თვითონ რუსეთი ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარს გაიყვანს? თუ რუსეთი ჯარს გაიყვანს, ჩვენ შეგვიძლია შემდეგ მოლაპარაკების გზით აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობები მოვაგვაროთ. იქ ჯარი რომ დგას, ყველაფერს ართულებს.***

– 1999 წელს არავის ეგონა, რომ რუსეთის ბაზები საქართველოდან გავიდოდა, როცა სტამბოლის სამიტზე გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მაგრამ გავიდნენ. სააკაშვილმა კი თავისი უგნური მოქმედებით გაყვანილი ბაზები რუსეთს უკან შემოაყვანინა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.



***– აფხაზეთიდან რუსული სამხედრო ბაზა არ გასულა.***

– მაშინ რა იყო და ახლა რამხელა რუსული სამხედრო ბაზაა აფხაზეთში, შედარება არ შეიძლება. ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, მაგრამ ფაქტობრივად, საქართველოს მთელი ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზები გაყვანილ იქნა. საკუთარ ტერიტორიას რომ ვერ აკონტროლებ, ერთი პრობლემაა, მეორეა – ამგვარი გადაწყვეტილების განხორციელება შესაძლებელი ყოფილა. თუმცა, ეს შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკებითა და შეთანხმებით.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**
**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# გიორგი გახარია: „ამ ეტაპზე ჩვენ სესხის აღება არ გვჭირდება“

გავლენიან ბრიტანულ გამოცემა „ღეუტერს“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობას (ახალ ფინანსურ პროგრამასთან დაკავშირებით) და სხვა საკითხებს ეხება.

სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს რეზიუმეს:

თბილისს, საქართველოს ხელისუფლების თხოვნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ეწვია. ვიზიტის მიზანს ახალი პროგრამის შემუშავება წარმოადგენს. გასული სამწლიანი პროგრამა, 136 მილიონი დოლარის მოცულობით, რომელიც 2014 წლის ივლისში დამტკიცდა, მხოლოდ 80%-ით შესრულდა: გაჩნდა უთანხმოება სსფ-სა და ქვეყნის მთავრობას შორის, ფისკალური პოლიტიკის ზოგიერთი საკითხისა და საბანკო ზედამხედველობის სააგენტოს მოქმედების გამო.

როგორც გიორგი გახარია აღნიშნავს, საქართველოს იმედი აქვს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) ახალი პროგრამის თაობაზე მოილაპარაკებს, რომელიც სტიმულს მისცემს რეფორმების განხორციელებასა და ინვესტორების მოზიდვას.



**გიორგი გახარია:**

– მე დარწმუნებული ვარ, რომ სავალუტო ფონდთან ახალი პროგრამის თაობაზე მოვილაპარაკებთ. ეს პროგრამა კარგი სიგნალი იქნება როგორც ინვესტორებისათვის, ასევე სხვა უცხოური ფინანსური ინსტიტუტებისათვის.... ამ ეტაპზე ჩვენ სესხის აღება არ გვჭირდება.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა საქართველო, რომლის ტერიტორიაზე აზერბაიჯანიდან ევროპისაკენ კასპიის ნავთობ-გაზის გადასატუმბად მრავალრიცხოვანი მილსადენები გადის, ეკონომიკური სიძნელეების წინაშე დადგა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მეზობელ ქვეყნებში (სავაჭრო პარტნიორებთან) ეკონომიკური ვითარება გაუარესდა. საქართველოში 2015 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპები 2,8%-მდე შემცირდა, ხოლო 2016 წელს – 2,2%-ით.

ამის მიუხედავად, გიორგი გახარიას თქმით, საქართველოს კარგი პერსპექტივები აქვს, რომ 2017 წელს ეკონომიკური ზრდის დონე 4%-ით გააუმჯობესოს:

– ჩვენ გვაქვს 4%-მდე ზრდის ობიექტური წინამძღვრები... მეტსაც ვიტყვი – ვეცდებით, რომ 5,2%-ის მაჩვენებელს მივაღწიოთ, რაც მსოფლიო ბანკის პროგნოზითაც დასტურდება, – ამბობს ქვეყნის ეკონომიკური უწყების ხელმძღვანელი.

მინისტრის თქმით, საქართველოს ძირითადი ეკონომიკური ამოცანებია სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება და დოლარიზაციის 70%-მდე შემცირება.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტი 2016 წელს 40,2%-ით გაიზარდა და 7,7 მილიარდ დოლარს მიაღწია. ექსპორტი 4%-ით შემცირდა (2,2 მილიარდ დოლარამდე), ხოლო იმპორტმა 27%-ით მოიმატა (ანუ 9,85 მილიარდი დოლარით). სიტუაცია გაუმჯობესდა იანვარში – ექსპორტი გაიზარდა 45%-ით (177 მილიონი დოლარით), იმპორტი კი 15%-ით (475 მილიონი დოლარით).

– ჩვენმა ძირითადმა სავაჭრო პარტნიორებმა შექმნილ სიტუაციასთან ადაპტირება ასე თუ ისე უკვე მოახერხეს, შესაბამისად, ექსპორტის ადრინდელი ტემპების აღდგენის პროცესი დაიწყო... პერსპექტივაში ზრდის დინამიკა ნეგატიური არ უნდა იყოს, – ამბობს ინტერვიუში გიორგი გახარია.

მინისტრი ინვესტიციების ზრდის საკითხსაც შეეხო: მისი მტკიცებით, მიმდინარე წელს საქართველო პირდაპირი ინვესტიციების სახით, 1,5 მილიარდ დოლარის მიღებას ელოდება.

მინისტრი ასევე დარწმუნებულია, რომ ინფლაციის დონე, რომელმაც მიზნობრივ მაჩვენებელს შეიძლება 4%-ით გადააჭარბოს, ეკონომიკურ ზრდაზე ნეგატიურ გავლენას ვერ მოახდენს:

– ჩემი აზრით, ინფლაცია ისეთ დონეს არ მიაღწევს, რომ ნეგატიური გავლენა მოახდინოს მოთხოვნაზე და როგორც შედეგი, ეკონომიკურ ზრდაზე, – აღნიშნავს გიორგი გახარია ინტერვიუში.

**ნიუსპრესი**

*რეგიონი*

# ქობულეთში სასმელ წყალს უსიამოვნო სუნი და გემო აქვს



ქობულეთში მცხოვრებლების ინფორმაციით, სასმელ წყალს უსიამოვნო სუნი და გემო აქვს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მოსახლეობამ განუცხადა, წყალი სასმელად უვარგისია და მისი შეძენა მარკეტში უწევთ.

– წყალს უსიამოვნო სუნი და გემო აქვს. გვითხრეს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. მსგავსი შემთხვევა გასულ კვირასაც დაფიქსირდა. სასმელ წყალს მარკეტში ვყიდულობთ, რადგან დასალევად ონკანის წყალი უვარგისია. შეტყობინება ტელეფონში გუშინ საღამო მოგვივიდა. ორი დღეა პრობლემა გვაქვს, – აცხადებს ქობულეთში მცხოვრები ლევან ურიდია.

ქობულეთში მცხოვრები კიდევ ერთი მოქალაქე ლალი ჯიბლაძე ამბობს, რომ სასმელ წყალში გადაჭარბებული ქლორი ფიქსირდება.

– პირველი შემთხვევის დროს როცა ვიკითხეთ, თუ რატომ ჰქონდა წყალს უსიამოვნო გემო და სუნი, გვითხრეს, რომ ქლორის ზედმეტი რაოდენობა მოუვიდათ. იძულებული გავხდით, ჩვენივე ძალებით გაგვერკვია სიმართლე.

ერთ-ერთი ვერსია ისევ გადაჭარბებული ქლორია, ხოლო მეორე ვერსიად ქობულეთის ბიუჯეტის არასწორი გამოყენება სახელდება, რომლის საფუძველზეც ქობულეთს არ გააჩნია სახსრები უზრუნველყოს წყლის ქლორით გასუფთავება და იძულებული არიან, გამოიყენონ უფრო დაბალფასიანი სხვა საშუალებები, რომლითაც შესაძლებელია წყლის გასუფთავება.

ონკანის მოშვებაც საკმარისია, რომ მთელ სახლში საშინელი ჭაობის სუნი დადგეს, წყლის გამოყენებაზე უკვე ლაპარაკი ზედმეტია. ქობულეთის გამგებელმა იქნებ საჭიროდ ჩათვალოს და მოსახლეობას ყურადღება მოგვაქციოს.

გვაინტერესებს, წყალკანალი მოსახლეობას გვაპატიებს ჩვენი ვალდებულებების შეუსრულებლობას? ჩვენ, მოსახლეობამ, რამდენჯერ უნდა ვაპატიოთ მათი მოვალეობის შეუსრულებლობა? – აცხადებს ლალი ჯიბლაძე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქობულეთის გამგებელმა სულხან ევგენიძემ განაცხადა, რომ წყლის რეზერვუარებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

– ჩვენ მოსახლეობა სმს-ს სახით გავაფრთხილეთ, ასევე ტელევიზიითა და სოციალური ქსელით ინფორმაცია მივაწოდეთ. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, – აცხადებს სულხან ევგენიძე.

შპს „ქობულეთის წყალის“ დირექტორი ოთარ ზოიძე წლის უსიამოვნო სუნსა და გემოს ქლორის მომატებულ რაოდენობას უკავშირებს. მისი თქმით, ქობულეთში სასმელი წყლის პრობლემა დაახლოებით სამ დღეში აღმოიფხვრება და დადგინდება თუ რა გახდა კონკრეტულად წყლის უსიამოვნო გემოსა და სუნის მიზეზი.

– სუნი მომატებული ქლორის რაოდენობამ გამოიწვია. ქლორს სისტემაში დოზირებულად ვაწვდით, მაგრამ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ერთ-ერთ 5.000 ტონიან წყლის რეზერვუარს სადეზინფექციო სამუშაოები აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს. პროცესი 24 თებერვლამდე გაგრძელდება.

წყლის მიწოდება ჩვენ არ შეგვიწყვეტია, ქობულეთში მოსახლეობას აღნიშნული რეზერვუარის გვერდის ავლით ვაწვდით წყალს. ორ-სამ დღეში ზუსტად დავადგენთ, თუ რის გემო ჰქონდა წყალს. სადეზინფექციო სამუშაოები აუცილებლად უნდა ჩატარდეს, – აღნიშნა ოთარ ზოიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# გიორგი გახარია: „საპატრიარქოს დღეს არსებული დაფინანსების წესი შესაცვლელი არ არის“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია მიიჩნევს, რომ საპატრიარქოს დღეს არსებული დაფინანსების წესი შესაცვლელი არ არის. ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ რესპუბლიკური პარტიის იმ ინიციატივის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომლის თანახმადაც, პარტიის ლიდერებმა ხელისუფლებას საპატრიარქოს დაფინანსების არსებული წესის გადახედვისკენ მოუწოდეს.

– მე ვთვლი, რომ ეს ნაწილი შესაცვლელი არ არის. მივიჩნევ, რომ ეს ის საკითხია, რომელიც პარტიული დონიდან გადასაწყვეტი არ არის და ეს გადასაწყვეტია საერთო-სახალხო განხილვის შედეგად, – განაცხადა გახარიამ.

**ბიპიენი**

# იანვარში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 5 მილიონი დოლარით შემცირდა



2017 წლის იანვარში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი საქართველოში შემცირდა.

საქსტატის მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარში 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აღნიშნული პროდუქციის წილი მთელ იმპორტში 2.1%-ით არის შემცირებული.

კერძოდ, გასულ თვეში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 27 მილიონი დოლარი იყო მაშინ, როცა 2016 წლის იანვარში იმპორტმა 32 მილიონი დოლარი შეადგინა.

2017 წლის იანვრიდან „საგადასახადო კოდექსში“ შესული ცვლილებების თანახმად, მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი გაიზარდა, მარჯვენასაჭიანების შემთხვევაში გასამმაგდა, ჰიბრიდული ავტომობილების შემთხვევაში კი შემცირდა.

**ბიპიენი**

# ბათუმში, ღამის კლუბში გაჩენილ ხანძარს ერთი ადამიანი ემსხვერპლა

## სამმა პირმა მძიმე დამწვრობა მიიღო

ღამის კლუბში ცეცხლი 21 თებერვალს ღამით გაჩნდა. წინასწარი ინფორმაციით, ხანძარი კონდიციონერის დაზიანებამ გამოიწვია. ცეცხლის გამომწვევი მიზეზების დასადგენად გამოძიება დაწყებულია.

გარდაცვლილი ქალი ღამის კლუბის თანამშრომელი იყო. დაშავებულები კი საავადმყოფოში არიან გადაყვანილები.

– სტაციონარში გადმოყვანილი იქნა სამი ახალგაზრდა – ორი მანდილოსანი და ერთი მამაკაცი სხეულის დამწვრობით. მამაკაცს სხეულის დაახლოებით, 60%-მდე აქვს დამწვარი, მანდილოსნებს 80-დან 100%-მდე. მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ისინი იმყოფებიან რეანიმაციულ განყოფილებაში, – განაცხადა ექიმმა ინგა გონცელიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# აჭარის ფინანსთა სამინისტროს მიერ დაფუძნებული შპს „ჰიგიენას“ დირექტორმა 5 მლნ ლარი მიითვისა



– აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაფუძნებული შპს „ჰიგიენას“ დირექტორმა, ირაკლი ცეცხლაძემ დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხები მიითვისა, – განცხადება ნაციონალური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ელგუჯა ბაგრატიონმა გააკეთა.

მისი თქმით, 5 მილიონამდე თანხა ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის და კომპენსაციის გასაცემად იყო გათვალისწინებული.

– ირაკლი ცეცხლაძემ 5 მილიონი ლარი მიითვისა. აღნიშნული თანხით ქობულეთში, ცეცხლაურში ნაგავსაყრელი უნდა აშენებულიყო, ასევე მოსახლეობისთვის კომპენსაცია უნდა გაცემულიყო. აღნიშნული ინფორმაციის შესახებ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს რამაზ ბოლქვაძეს პასუხი არ აქვს. მთავრობას ფაქტზე რეაგირებას ვთხოვთ, – აცხადებს ბაგრატიონი.

◆ ◆ ◆

– შპს „ჰიგიენა 2009“– ში აღმოჩენილი ფინანსური შეუსაბამობის გამო, ვაცნობეთ საქართველოს ფინანსთა და საგამოძიებო სამსახურს. ამ ეტაპზე სისხლის სამართლის საქმეზე არის აღძრული 182-ე მუხლის შესაბამისად. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ვისაც სურვილი აქვს, რომ სახელმწიფო ქონება მიითვისოს, დაისჯება კანონის სრული სიმკაცრით, – აცხადებს რამაზ ბოლქვაძე.

**ინტერპრესნიუსი**

# „ბავშვთა სამყაროში“ ხანძრის შედეგად დაზარალებულების დასახმარებლად, ს.ს „სავაჭრო ცენტრ ბავშვთა სამყაროს“ ინიციატივით საქველმოქმედო ანგარიში გაიხსნა



დაზარალებულების დასახმარებლად თანხის ჩარიცხვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. შეგროვილ თანხას, ფონდის მესვეურები „ბავშვთა სამყაროს“ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გადაანაწილებენ და ის აბსოლუტურად ყველა დაზარალებულს მოხმარდება.

**დახმარების თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია შემდეგ საბანკო ანგარიშებზე:**

ს.ს. „თიბისი ბანკი“ GE48TB7503936020100002
ს.ს. „ვითიბი ბანკი“ GE42VT6600030033003602
ს.ს. „ხალიკ ბანკი საქართველო“ GE02HB0000000000593608

**მიმღები** – ააიპ სავაჭრო – კომერციული ცენტრების (ბაზრობების) გაერთიანება.

ასევე შეგიძლიათ განახორციელოთ საქველმოქმედო ზარი საქართველოს ნებისმიერი ოპერატორის „მაგთის“, „ჯეოსელის“, „ბილაინის“ აბონენტებმა შემდეგ ნომერზე 0 901 901 959 ზარის ღირებულება 1 ლარი.

# საპენსიო რეფორმის პირველი ეტაპი 2017 წლის სექტემბერში დაიწყება



ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, საპენსიო რეფორმის პირველი ეტაპის დაწყების ვადად 2017 წლის სექტემბერი განისაზღვრა და მას სჯერა, რომ რეფორმა დათქმულ ვადებში ამოქმედდება.

– რამდენადაც საქმის კურსში ვარ, ეს ვადა ძალაშია. რა თქმა უნდა, აქ საჭირო იქნება კანონში ცვლილება. ვფიქრობ, სექტემბრამდე საკმარისი ვადა იქნება იმისთვის, რომ ყველა დეტალი გავლილი იქნას და მჯერა, რომ ეს რეფორმა ამოქმედდება დათქმულ ვადებში, – განუცხადა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ.

იგეგმება დაგროვებითი საპენსიო მოდელის ამოქმედება. საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ოთარ ძიძიკაშვილის ინფორმაციით, თანამონაწილეობის პრინციპი იქნება შემდეგი: მოქალაქე საპენსიო ფონდში 2%-იან შენატანს განახორციელებს, ასევე დამსაქმებელი და სახელმწიფო ვალდებულები იქნებიან დამატებით 2-2% გადაურიცხონ საპენსიო ანგარიშზე. მთლიანი შენატანი იქნება 6%, რომელიც არ დაიბეგრება. დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

**ბიპიენი**

# მსახიობ გურამ ჯაშს სასტიკად სცემეს



მარჯანიშვილის თეატრის ცნობილი მსახიობი გურამ ჯაში 21 თებერვალს გვიან ღამით დააყაჩაღეს და სასტიკად სცემეს. ამ დროისთვის მსახიობი კლინიკაში იმყოფება. მისი მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მას ტრეპანაცია დასჭირდა.

გურამ ჯაშის დაყაჩაღების შესახებ ინფორმაციას მისი კოლეგები ადასტურებენ.

**პირველი რადიო**

# თბილისში პოლიციელი ცივი იარაღით დაჭრეს




მეტრო „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის თანამშრომელი ცივი იარაღით დაჭრეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით პოლიციამ ადგილზე 1992 წელს დაბადებული პირი დააკავა.

— თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლები მეტრო „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას.

მათ ერთ-ერთ ნასვამ მოქალაქეს, რომელიც არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, მოუწოდეს მართლწესრიგის დაცვისკენ, რა დროსაც აღნიშნულმა მოქალაქემ პოლიციის თანამშრომელს — უბნის ინსპექტორ გამომძიებელს — ცივი იარაღით სახის არეში დაზიანება მიაყენა. პოლიციამ ადგილზე დააკავა 1992 წელს დაბადებული შ.თ. — განაცხადეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**ინტერპრესნიუსი**

# მამა შალვა კეკელია: „ჩემთვის რომ მკვლელობა დაებრალებინათ, მდუმარების შენარჩუნებაში სახელმწიფოს არ დავემორჩილებოდი“



— ჩემთვის რომ მკვლელობა დაებრალებინათ, მდუმარების შენარჩუნებაში სახელმწიფოს არ დავემორჩილებოდი და ამ კუთხით მამა გიორგის ვერ ვამართლებ. მამა შალვა კეკელიასთვის მიუღებელია, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე გაუთქმელობის პირობით სარგებლობს.

ამის შესახებ მამა შალვა კეკელიამ ჟურნალისტებს საპატრიარქოსთან განუცხადა. მამა შალვას განცხადებით, მისთვის რომ ვინმეს მკვლელობა დაებრალებინა, გამოძიებასთან ვერ ითანამშრომლებდა და მდუმარებას ვერ შეინარჩუნებდა.

— მე გაუთქმელობის პირობა არ მესმის. თუ ადამიანი მართალია, როგორ შეიძლება ვინმემ რამე დამაბრალოს? სასულიერო პირი, მღვდელი ვარ, რისი უნდა მეშინოდეს? ვინმეს მკვლელობა დამაბრალონ და მე როგორ უნდა ვითანამშრომლო გამოძიებასთან? ასეთი ბრალდება დამადოს მე სახელმწიფომ ან ნებისმიერმა ადამიანმა და მე რაიმე პირობა დავიცვა? გამორიცხულია, მდუმარება შევინარჩუნო — გამორიცხულია! არ არსებობს! მე ამ შემთხვევაში არ დავემორჩილები სახელმწიფოს. მდუმარებასთან დაკავშირებით ვერაფრით ვერ ვამართლებ. რისი უნდა მეშინოდეს, მღვდელი ვარ, ღმერთმა ყველაფერი იცის ჩემთან დაკავშირებით. რა სასჯელი უნდა მომისაჯონ იმაზე მეტი, ვიდრე ადამიანურად ამაზე მეტად დავისაჯო? — განაცხადა მამა შალვა კეკელიამ.

მისივე თქმით, ეკლესიას დასამალი არაფერი აქვს არავისთან და თუ ადამიანი დამნაშავეა, უნდა ითქვას, რომ ის დამნაშავეა, რაც უნდა ედებოდეს მას ბრალად, „ჩვეულებრივი ადამიანის მკვლელობა თუ პატრიარქის მკვლელობა, ამას მნიშვნელობა არ აქვს“.

— ეს უნდა საჯაროდ ითქვას, რადგან საზოგადოებას ძალიან დიდი მოთხოვნა აქვს ამასთან დაკავშირებით. ადამიანებს აინტერესებთ, თუ რა მოხდა ეკლესიაში, რა ხდება და ყველა კითხვას უნდა გაეცეს პასუხი, — განაცხადა მამა შალვამ.

# იარაღი, რომელიც მამა გიორგი მამალაძის სახლში აღმოაჩინეს, დეკანოზს არ ეკუთვნოდა



ე.წ. ციანიდის საქმეში ბრალდებულის, დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატის, მიხეილ რამიშვილის განცხადებით, იარაღი, რომელიც ბრალდებულის სახლში აღმოაჩინეს, დეკანოზს არ ეკუთვნოდა.

ადვოკატის თქმით, „როდესაც ნათელი გახდება, თუ როგორ აღმოჩნდა იარაღი დეკანოზის სახლში, ძალიან ნათელი სურათი წარმოიქმნება“.

— ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მამა გიორგის ბრალი წარდგენილი აქვს სხვადასხვა მუხლით. არ უნდა დაგვავიწყდეს იარაღი. როდესაც ცნობილი გახდება, თუ როგორ მოახერხეს, რომ იარაღი მამა გიორგისთან აღმოჩნდა, მერე უკვე ძალიან ნათელი სურათი წარმოიქმნება — თუ როგორ აღმოჩნდა, ამას მამა გიორგი გამოძიებამდე მოახსენებს საპატრიარქოს და წმინდა სინოდის წარმომადგენლებს. როგორც გამოძიებიდან ირკვევა, მის სახლში აღმოაჩინეს იარაღი. იარაღი მისი არ იყო, — განაცხადა ადვოკატმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ევა გოცირიძე — არ გადამიწყვეტია, მივიღებ თუ არა სტრასბურში წარსადგენ მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობას



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ ევა გოცირიძეს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, მიიღებს თუ არა მონაწილეობას სტრასბურის სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლის შესარჩევ ახალ კონკურსში.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ევა გოცირიძემ განუცხადა, ჯერ არ იცის, როგორი იქნება შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები, რომლითაც კანდიდატები უნდა შეირჩნენ.

მისივე თქმით, გარკვეული მოსაზრებები აქვს ეროვნულ დონეზე შერჩევის პროცედურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და გეგმავს შესაბამისი წინადადებებით მიმართოს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარესა და იუსტიციის მინისტრს.

— ნამდვილად არ გადამიწყვეტია ჯერ, მივიღებ თუ არა მონაწილეობას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლის შესარჩევ ახალ კონკურსში. ვნახოთ, რა განწყობა მექნება ან როგორი კრიტერიუმები იქნება შემუშავებული.

მაქვს ასევე ჩემი მოსაზრებები კრიტერიუმების თაობაზე, რომელიც უნდა იყოს აუცილებლად გათვალისწინებული. ახლა ვგეგმავ ღია წერილით მივმართო პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და იუსტიციის მინისტრსაც.

მექნება კონკრეტული წინადადებები, თუ როგორც უნდა გაუმჯობესდეს შიდა ეროვნული პროცედურები კანდიდატების შერჩევისას, — განაცხადა ევა გოცირიძემ.

რაც შეეხება ევროსაბჭოს ერთ-ერთი კომიტეტის მიერ საქართველოდან წარდგენილი სამივე კანდიდატის არ დამტკიცებას, როგორც გოცირიძემ განაცხადა, ის დაინტერესდა, რა შეფასებები მიიღო თავად და შესაბამისი წერილითაც მიმართა კომიტეტის თავმჯდომარეს.

— კომიტეტმა გამოაქვეყნა ერთწინადადებიანი ფორმულირება — ყველა კანდიდატი არ იყო მაღალკვალიფიციური. განა არც ერთი არ იყო, არამედ ზოგი იყო და ზოგი არა. მაგრამ, ვინ იყო მაღალკვალიფიციური და ვინ არა, ამის თაობაზე არავითარი დაზუსტება არ არსებობს.

არც ჩვენ მიგვიღია ამის თაობაზე კონკრეტული პასუხი. შესაბამისად, ჩემთვის არ არის ცნობილი, უშუალოდ ჩემს კანდიდატურასთან დაკავშირებით პოზიტიური მოსაზრებები გამოითქვა თუ ნეგატიური. შესაბამისად, დავინტერესდი ამ ყველაფრით და გავაგზავნე წერილი ევროპის საბჭოს აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარესთან, სადაც გამოვთქვი ძალიან ბევრი შენიშვნა პროცედურებთან დაკავშირებით, რომელიც საკუთრივ ევროსაბჭოს კომიტეტში იყო.

ასევე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გავუგზავნე ჩემი დასაბუთებული მოსაზრებები, რა უნდა გაუმჯობესდეს საკუთრივ ევროსაბჭოს პროცედურებში. კომიტეტის თავმჯდომარისგან მივიღე პასუხი, სადაც ჩემი ძალიან ბევრი სამდურავი გაზიარებული იყო და ერთგვარად ბოდიშიც კი მომიხადეს, შეიძლება ითქვას, ამ ყველაფრის გამო, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ევა გოცირიძემ.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შესარჩევად ახალი კონკურსი გამოცხადდა. საბუთებისა და განაცხადების მიღება 2017 წლის 14 მარტამდე გაგრძელდება.

კანდიდატთა ხუთპირიან სიას სამდივნო გააცნობს კომისიის წევრებს, ხოლო კომისიის თავმჯდომარე კომისიის სახელით წარუდგენს საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა წარდგენილი კანდიდატებიდან შეარჩევს ნებისმიერ სამ კანდიდატს, რომელთა ვინაობა და საბუთები თავდაპირველად წარედგინება ექსპერტებისგან შემდგარ მრჩეველთა პანელს, რომელიც შექმნილია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციის საფუძველზე და გასცემს რეკომენდაციას იმის შესახებ, აკმაყოფილებენ თუ არა წარდგენილი კანდიდატები კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს.

ამის შემდეგ სია გადაეცემა შესაბამის კომიტეტს, რომელიც კენჭს უყრის სიის მისაღებობას და დადებითი კენჭისყრის შემთხვევაში, მოუსმენს სამივე კანდიდატს. გასაუბრების შემდეგ კომიტეტი რეკომენდაციას გაუწევს ერთ-ერთ მათგანს. პროცედურის დასასრულ, კანდიდატთა სამპირიანი სია წარედგინება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, რომელიც ირჩევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოდან წარდგენილი მოსამართლეობის კანდიდატების თავდაპირველი სია, რომელშიც ევა გოცირიძე, გიორგი ბადაშვილი და ალექსანდრე ბარამიძე იყვნენ, ევროპის საბჭოს შესაბამისმა კომიტეტმა არ დაამტკიცა.

**ინტერპრსნიუსი**

# სუს-ის უფროსი პოლონეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნულ ელჩთან მარიუს მაშკიევიჩთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოსა და პოლონეთის შესაბამის უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებზე. მხარეებმა მიმოიხილეს მსოფლიოსა და რეგიონში არსებული ვითარება და განიხილეს ორი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები.

საუბარი ასევე შეეხო სამომავლო გეგმებს და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებს.

# სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ე.წ. მოსმენების კანონპროექტს უარყოფითად აფასებენ



საქართველოს სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ე.წ. მოსმენების კანონპროექტს უარყოფითად აფასებენ. მათი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, ამ საკითხის განხილვის პროცესში ოპოზიციის, ექსპერტებისა და სახალხო დამცველის მეტი ჩართულობა ყოფილიყო.

— ზოგადად, კონსულტაციები და დამატებითი კონსულტაციები არის ძალიან მნიშვნელოვანი. საერთოდ ეს ჯგუფი ცოტა ფორსირებულ რეჟიმში მუშაობდა და უფრო მეტი კონსულტაციები და უფრო მეტი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. კანონპროექტის იმ ვერსიას, რომელიც პარლამენტში არის ინიცირებული, სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს, — აცხადებს საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მდივანი, ეკა ფოფხაძე.

**პირველი რადიო**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ირანი: „აშშ სახეში სილის გაწვნას უნდა ელოდოს“



– აშშ სახეში სილის გაწვნას უნდა ელოდოს თუ სათანადოდ ვერ შეაფასებს ირანის თავდაცვით შესაძლებლობებს, – განაცხადა ირანის რევოლუციური გვარდიის სახმელეთო ჯარების მეთაურმა, გენერალმა მოჰამედ ფაქფოურმა.

– მტერი არ უნდა შეცდეს თავის შეფასებებში და სახეში ძლიერ სილას მიიღებს თუ ამგვარ შეცდომას დაუშვებს, – განაცხადა გენერალმა.

22 თებერვალს ირანის რევოლუციურმა გვარდიამ დაასრულა სამდღიანი სამხედრო წვრთნები, რომლებიც დაიგეგმა მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ირანს ოფიციალური გაფრთხილება მისცა ბალისტიკური რაკეტების გამოცდასთან დაკავშირებით, რასაც ირანისთვის ახალი სანქციების დაწესება მოჰყვა.

– ამ სამხედრო წვრთნების მესიჯია, მოწინააღმდეგემ რამე სისულელე არ ჩაიდინოს. ყველას შეეძლო ენახა, რა ძალები გვყავს ხმელეთზე, – დასძინა ირანის რევოლუციური გვარდიის სახმელეთო ჯარების მეთაურმა.

# შონ სპაისერი: „რუსეთთან შეთანხმება რთულია, მაგრამ ამას მაინც ვცდილობთ“




თეთრი სახლის წარმომადგენელმა შონ სპეისერმა განაცხადა, რომ რუსებთან დიალოგი ძალზე გართულდა. მიუხედავად ამისა, სპეისერმა მიუთითა, რომ პრეზიდენტი ტრამპი გულმოდგინედ ცდილობს, რომ მოსკოვთან შეთანხმებას მიაღწიოს.

– ამაში ვერაფერს ცუდს ვხედავ! ობამასა და ბუშის ადმინისტრაციებიც ხომ მოსკოვთან შეთანხმებას ცდილობდნენ, – ამბობს სპეისერი.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტრამპის მიერ რუსეთისადმი გამოთქმული კრიტიკა არასაკმარისად ხისტია.

– პრეზიდენტი ტრამპი გადაწყვეტილებას თავად იღებს. ის ცდილობს რუსეთთან შეთანხმებას მიაღწიოს, თუმცა ეს ამერიკის ინტერესების ხარჯზე არ მოხდება. ჩვენ არაფრის დათმობას და ჩვენი მოკავშირეების ღალატს არ ვაპირებთ, – აცხადებს სპეისერი.

# აშშ-ში არალეგალ მიგრანტებთან ბრძოლა მკაცრდება



აშშ-ის შიდა უსაფრთხოების სამსახურმა გამოსცა ცირკულარი, რომელიც არალეგალ მიგრანტებთან ბრძოლის გააქტიურებას ითვალისწინებს. ყველა პიროვნება, რომელიც აშშ-ის ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფება, ქვეყნიდან გაძევებული იქნება.

ეს არ ვრცელდება მათზე, ვინც აშშ-ში ჯერ კიდევ ბავშვობისას ჩამოიყვანეს და დღემდე იქ უკანონოდ ცხოვრობს. გააძევებენ მათ, ვინც მოწიფულ ასაკში ჩამოვიდა.

# გერმანიაში პოტენციური ტერორისტების რაოდენობა 2.600-მდე გაიზარდა

– გერმანიაში პოტენციური ტერორისტების რაოდენობა 2.600-მდე გაიზარდა, – განაცხადა კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების ხელმძღვანელმა ჰანს-გეორგ მაასენმა.

მისი თქმით, გერმანიაში იზრდება იმ ხალხის რაოდენობა, ვინც საზოგადოებრივ საფრთხეს წარმოადგენს.

– ეს ის ხალხია, ვინც პოლიციის დაკვირვების ქვეშ არის. ჩვენ კონსტიტუციის დაცვის ფედერალურ უწყებაშიც ვსაუბრობთ იმ ხალხზე, ვინც ისლამისტი ტერორისტების იდეოლოგიას იზიარებენ. მათი რაოდენობა გაიზარდა და დღეის მდგომარეობით 2.600 ადამიანს შეადგენს. ჩვენ მათ ვაკვირდებით სპეცსამსახურების პოზიციიდან, – განაცხადა მაასენმა.

გასულ წელს გერმანიაში მომხდარი ხუთი ტერორისტული აქტი და როგორც მინიმუმ, თავიდან აცილებული შვიდი ტერაქტი იმაზე მეტყველებს, რომ გერმანია ისლამისტური ტერორიზმის ყურადღების ცენტრშია.

– პოლიციის მონაცემებით, გერმანიაში ჩამოსული მიგრანტების დაახლოებით 70%-ს პასპორტები არ აქვთ. ეს კი ნიშნავს, რომ მათი რეგისტრირება ზეპირად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება. ეს ჩვენ გვაწუხებს, ვინაიდან ჩვენ მონაცემთა კარგი ბაზა გაგვაჩნია, ხდება ევროპელ პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლა, მაგრამ როდესაც იმ პირების სახელები გვაქვს, ვინც საფრთხეს წარმოადგენს, ჩვენ ვერ ვახერხებთ მათ იდენტიფიცირებას გერმანიაში, – დასძინა გერმანიის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელმა.




მაასენის თქმით, უნდა მოიძებნოს ყველა შესაძლებლობა და საშუალება ჩამოსულების იდენტიფიცირებისთვის, მათ შორის სმარტფონებში ინფორმაციის შემოწმება და იმ პირების დაკავება და შემდგომი დეპორტაცია, ვინც საფრთხეს წარმოადგენს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ვენაში უკრაინელი ოლიგარქი დააკავეს




ვენაში უკრაინელი ოლიგარქი დააკავეს. ეს სასამართლოს შენობაში მოხდა, როცა აშშ-ში დეპორტაციის საკითხი წყდებოდა.

დიმიტრი ფირტაში ესპანეთის პროკურატურის ორდერით დააკავეს. მას კორუფციულ სქემებში მონაწილეობაში ედება ბრალი.

ფირტაში უკრაინულ პრორუსულ ლობის განეკუთვნება. ის გახლდათ კომპანია „ნავთოგაზ-უკრანისა“ და ტელეკომპანია „ინტერის“ მფლობელი. ღირსების რევოლუციის დროს აქტიურად უჭერდა მხარს იანუკოვიჩს, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კი ავსტრიაში გაიქცა.

ფირტაშის სახელი გაზთან დაკავშირებულ აფიორების არაერთ გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს.

# კიმ ჩენ ნამის მკვლელობის საქმეში ახალი ექვმიტანილები გამოჩნდნენ



ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის ძმის, კიმ ჩენ ნამის მკვლელობის საქმეში ახალი გარემოებები გამოიკვეთა და ახალი ეჭვმიტანილებიც გაჩნდნენ.

მალაიზიის პოლიციას ეჭვი აქვს ჩრდილოეთ კორეის დიპლომატზე და ჩრდილოეთ კორეის აეროპორტის თანამშრომელზე. მალაიზიის პოლიცია მათ დაკითხვას უახლოეს მომავალში აპირებს.

შეგახსენებთ, რომ მკვლელობის ბრალდებით 2 ახალგაზრდა ქალია დაკავებული, რომლებიც ჩრდილოეთ კორეის ლიდერის ძმას აეროპორტში თავს დაესხნენ და სახეში შხამი შეასხეს.

მათ გარდა, დაკავებულია ორი მამაკაციც, რომლებსაც მკვლელების დახმარება და დანაშაულის შეუტყობინებლობა ედებათ ბრალად.

კიმ ჩენ ნამი დიდი ხანია ჩრდილოეთ კორეაში არ ცხოვრობდა და ერთ-ერთი ვერსიით, მისი მკვლელობის უკან ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება დგას.

კიმ ჩენ ნამი 13 თებერვალს მოწამლეს, რის შემდეგაც ის მალე გარდაიცვალა.

# სტამბოლში ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირში ეჭვმიტანილი 35 პირი დააკავეს



სტამბოლში პოლიციის სამმართველოს ტერორიზმთან ბრძოლის დეპარტამენტმა რეიდები ჩაატარა, რის შემდეგაც 35 ეჭვმიტანილი დააკავეს, რომელთაც ბრალად ედებათ ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირი.

დაკავებულები ტერორიზმთან ბრძოლის დეპარტამენტში გადაიყვანეს და ჯერჯერობით მათი სახელები საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის, თუმცა უახლოეს დღეებში ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია იქნება.

პოლიციამ რეიდები წინასწარ მიღებული ინფორმაციის შემდეგ 41 მისამართზე ჩაატარა. ნაპოვნია ამუნიცია და დოკუმენტები, რომლებიც ეჭვმიტანილებს ეკუთვნით.

სტამბოლში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან აქტიურ ფაზაშია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 31 დეკემბრის ღამეს სტამბოლის ერთ-ერთ ღამის კლუბში ტერაქტი მოხდა, რის შემდეგაც 40-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

# მარინ ლე პენი საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის ფავორიტია



კვლევითი ორგანიზაცია ელაბის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ყველაზე მეტ ხმას ეროვნული ფრონტის ლიდერი მარინ ლე პენი მოაგროვებს, მეორე ადგილზე კი რესპუბლიკელი ფრანსუა ფიიონი გავა.

იმავე ორგანიზაციის კვლევის თანახმად, მეორე ტურში გამარჯვებას ფრანსუა ფიიონი მოიპოვებს, ლე პენი კი მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდება, ემანუელ მაკრონის შემდეგ.

საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური 23 აპრილს გაიმართება, მეორე ტური კი – 7 მაისს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# სანახაობრივი დღე ჩემპიონთა ლიგაზე



**სიტი-მონაკო 5:3**

**მანჩესტერი.** ეტიჰად სთედიუმი

1:0 სტერლინგი (26), 1:1 ფალკაო (32), 1:2 მბაპე (40), 2:2 აგუერო (58), 2:3 ფალკაო (61), 3:3 აგუერო (71), 4:3 სტოუნსი (77), 5:3 სანე (82)

53-ე წუთზე ფალკაომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**სიტი:** კაბალერო, ფერნანდინიო (ზაბალეტა 62), ოტამენდი, სტოუნსი, სანია, ტურე, სანე, დე ბრუინი, სილვა, სტერლინგი (ნავასი 89), აგუერო (ფერნანდო 87)

**მონაკო:** სუბაშიჩი, სიდიბე, გლიკი, რაჯი, მენდი, ფაბინიო, ბაკაიოკო (დირარი 88), ბერნარდო სილვა (მოუტინიო 85), ლემარი, მბაპე (ჟერმენი 79), ფალკაო

სასწაული თამაში გამოდგა, გიჟური – ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი. ყველაფერი იყო: 8 გოლი, რომელიც ორივე გუნდის კარში მიყოლებით გადიოდა, ორი დუბლი, გაცუდებული პენალტი, 10-ზე მეტი ყვითელი ბარათი. ფეხბურთის არამოყვარული ხალხიც კი უდიდეს სიამოვნებას მიიღებდა ამ შეხვედრიდან...

საწყისი ნახევარი საათი ორივე გუნდმა დაივიწყა სიტყვა მუხრუჭი და მხოლოდ მეტოქის კარზე იყო დაგეშილი, მაგრამ 26-ე წუთამდე გოლი არა და არ გადიოდა. შემდეგ კი რაჰიმ სტირლინგმა გახსნა ანგარიში, რასაც სტუმრებმა პირველივე ტაიმში ორჯერ უპასუხეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში თავადებს შეეძლოთ უფრო წინ გაჭრილიყვნენ, მაგრამ ფალკაომ ცუდად დაარტყა 11 მეტრიდან, რასაც სერხიო აგუეროს გამთანაბრებელი გოლი მოჰყვა. თუმცა, კოლუმბიელმა თავისი სიტყვა თქვა და კაბალიეროს ფანტასტიკური გოლი გაუტანა – ეს იყო მონეგასკების ბოლო გოლი ამ მატჩში. შემდეგ უკვე სიტი დრო დადგა...

ზედიზედ 3 გოლი მონაკოს კარში, აქედან ბოლო 2 გოლის დროს ნათელი ჩანდა, რომ ლეანდრო ჟარდიმის გუნდი ძალებს ეძებდა, რათა თამაში სასურველი ანგარიშით ჩაემთავრებინა. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა მეტწილად პეპ გვარდიოლას გუნდის გამარჯვება.

თუმცა, მატჩის ბედი ჯერ გადაწყვეტილი არ არის – საპასუხო მონაკოშია და ვნახოთ, ასეთივე სანახაობრივი თუ გამოვა...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სერხიო აგუერო**

ძალიან ბევრი ფეხბურთელის გამორჩევა შეიძლებოდა, მაგრამ არგენტინელი თავისიანებს წინ კრიტიკულ მომენტში გაუძლვა. მონაწილეობა მიიღო სიტის 3 გოლში. მართალია, ერთ გოლში მონაკოელთა მეკარე წაეხმარა, მაგრამ ეს აგუეროს კარგ თამაშს სულაც არ აკნინებს.

**პეპ გვარდიოლა:**

– განსაკუთრებული მატჩი აღმოჩნდა. აღმავლობა და დაცემა გვქონდა. კარგად ვუტევდით, მაგრამ დრო დაგვჭირდა, რომ საჭირო რიტმი მოგვეძებნა, რაც ადვილი არ იყო, რადგან მონაკო ორგანიზებულად თამაშობდა... ბევრი მოულოდნელი შემოტრიალება იყო. უძლიერეს მეტოქეს დავუპირისპირდით, რომელიც სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებს, გამძლეა და ათასი გოლი გააქვს... ამ მატჩის გაკვეთილია: არასოდეს უნდა დანებდე. გარკვეულ მომენტებში გვიმართლებდა, მაგრამ პირველი ტაიმში უიღბლობა თან გვდევდა. შედეგით და გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ჩემპიონთა ლიგაში ბრძოლას ვაგრძელებთ... ახლა მონაკოში უნდა ვითამაშოთ და რაც შეიძლება მეტი გოლის გატანას შევეცდებით, რაც იოლი არ იქნება – მონაკოში თუ ვერ გავიტანთ, ტურნირიდან გავვარდებით.

**ლეანდრო ჟარდიმი:**

– მონაკომ დაცვაში ბევრი შეცდომა დაუშვა, რისთვისაც დავისაჯეთ. ვფიქრობ, მატჩში გადამწყვეტი მომენტი ფალკაოს მიერ ვერგატანილი პენალტი იყო, რადგან მისი რეალიზების შემთხვევაში ანგარიში 3:1 გახდებოდა. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ მონაკომ კარგად ითამაშა და ჩემს ფეხბურთელებს მივულოცე... ვფიქრობ, თითოეული გულშემატკივარი ამ სპექტაკლს სიხარულით უყურებდა. ეტიჰადზე 3 გოლის გატანა მართლაც კარგი მიღწევაა. ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა, რადგან სახლში თამაში დაგვრჩა...

**ლევერკუზენი-ატლეტიკო 2:4**

**ლევერკუზენი.** ბაი არენა

0:1 საული (17), 0:2 გრიზმანი (25), 1:2 ბელარაბი (48), 1:3 გამეირო (59პ), 2:3 სავიჩი (68სკ), 2:4 ტორესი (86)

**ლევერკუზენი:** ლენო, ჰენრიხი, დრაგოვიჩი, ტოპრაკი, ვენდელი, არანგიზი, კამპლი, ბელარაბი (პოიანპალო 66), ჰავერტცი (ვოლანდი 56), ბრანდტი (ბაილი 87), ჩიჩარიტო

**ატლეტიკო:** მოია, ვრსალიკო, სავიჩი, ხიმენესი, ფილიპე ლუისი, კოკე, გაბი, საული, ფერეირა კარასკო (ტორესი 78), გრიზმანი (კორეა 78), გამეირო (ტომასი 71)

სანახაობრივი თვალსაზრისით მეორე მატჩიც კარგი გამოდგა. ატლეტიკომ მთლიანად გაშალა ფრთები ლევერკუზენში და დაამტკიცა, რომ ბაიერი მისთვის იოლი მეტოქეა. მადრიდელებმა აკურატულად დაიწყეს თამაში, მაგრამ შესანიშნავად იყენებდნენ თავიანთ საფირმო კონტრშეტევებს და სწრაფი გოლიც გაიტანეს. ეს მადრიდელთათვის დიდი საჩუქარია. ასეთ დროს ატლეტიკოს კიდევ უფრო მეტი შანსი ეძლევა კონტრთამაშზე და სანამ ლევერკუზენი წვალობდა, მეორეჯერაც შეირხა ლენოს კარის ბადე.

ფარმაცევტებმა მატჩს ინტრიგა მე-2 ტაიმის დასაწყისში დაუბრუნეს, მაგრამ ატლეტიკომ იქვე შეცვალა სტილი და გაცილებით აგრესიული თამაში დაიწყო, თითქოს საკუთარ მოედანზე ირჯებოდნენ, რამაც შედეგი გამოიღო და ლევერკუზენის კარში მე-3 გოლი ვიხილეთ. შემდეგ მოგება ტექნიკის საქმე იყო – თვით სავიჩის ავტოგოლსაც კი არ უმოქმედია მადრიდელთა თამაშზე. სიმეონეს ბიჭებმა მე-4 გოლი კლასიკურ სტილში გაიტანეს, რამაც ფაქტობრივად გადაწყვიტა მეოთხედფინალისტის ვინაობა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კევინ გამეირო**

მშვენიერია, როდესაც გუნდს შეტევაში განსხვავებული სტილის ლიდერები ჰყავს. ატლეტიკოს შემტევებზე საუბრისას ახსენებენ გრიზმანს, ფერეირა-კარასკოს, საულს... ლევერკუზენთან ასეთი გამეირო იყო, რომელმაც მადრიდელთა ყველა შეტევაში მიიღო მონაწილეობა და ლევერკუზენელთა დაცვას აწიოკებდა. გოლი, საგოლე პასი, პენალტი – ეს არის გამეიროს მონაგარი...

**როჯერ შმიდტი:**

– ჩვენთვის ძალიან მძიმე მატჩი იყო. ბოლო 3 წლის მანძილზე ატლეტიკო ფინალში 2-ჯერ გავიდა, რაც მეტყველებს, რომ ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა. არცთუ კარგად დავიწყეთ, მაგრამ შესვენების შემდეგ ღირსეულად ვიბრძოდით. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, ანგარიში 3:3 გაგვეხადა. თუმცა, საბოლოოდ გოლი მატჩის მიწურულს გავუშვით. უფრო მეტი შეგვიძლია. ჯერ საპასუხო შეხვედრაზე არ ვფიქრობთ. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში მადრიდში დადებითი შედეგის მიღწევა ძალიან გაგვიჭირდება.

**დიეგო სიმეონე:**

– სტუმრად როდესაც თამაშობ, მნიშვნელოვანია საკუთარი ძალების გჯეროდეს. ჩვენ კი თავდაჯერება საკმარისზე მეტი გვქონდა. კიდევ დიდი უპირატესობით გამარჯვება შეგვეძლო, მაგრამ ბაიერის მეკარემ ორი საუცხოო სეივი გააკეთა და გრიზმანს გატანის საშუალება არ მისცა... ერთია, ტურნირის ამ სტადიაზე ამდენი გოლი არ უნდა გავუშვათ. ამაზე სამუშაო გვაქვს. საპასუხო მატჩში ლევერკუზენელებს დასაკარგი არაფერი აქვთ. ასე რომ, სიფრთხილე უნდა შევინარჩუნოთ. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში შედეგით კმაყოფილი უნდა ვიყოთ – მადრიდში ღიმილიანი სახით ვბრუნდები.

# რუსთავში მსაჯმა მაყურებელს ბოთლი ესროლა



**რუსთავი-ბათუმი 89:96**

(15:25, 28:20, 23:24, 23:27)

სუპერლიგის მე-18 ტური რუსთავში დაიწყო – ქვემო ქართლში სათამაშოდ ბათუმი ჩავიდა, რომელსაც ბოლო 6 მატჩი წაგებული ჰქონდა. მასპინძლებს კი პირიქით, წარმატებული სერია ჰქონდათ. რუსთავმა წინა ტურში გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ ქუთაისს მოუგო და ცხადია, აჭარულ გუნდთანაც გამარჯვებას გეგმავდა.

ბათუმელებმა ძალიან მოინდომეს და მასპინძლებს გამარჯვება არ დაანებეს. შეხვედრა სტუმრების აქტიურობით დაიწყო, რაც ანგარიშშიც აისახა და საწყისი მეოთხედი ბათუმელებმა 25:15 მოიგეს.

მეორე პერიოდში მასპინძლებმა თამაში გამოასწორეს და ჩამორჩენა დიდი შესვენებისთვის 2 ქულამდე შეამცირეს, რის შემდეგაც თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. ქულა-ქულაში მიმდინარე მატჩის ბოლო წუთებზე ბათუმელებმა იძალეს, რომლებმაც გამარჯვებისთვის საჭირო ქულები მიითვალეს და წარუმატებელი სერია შეწყვიტეს.

საბოლოოდ ბათუმმა 96:89 მოიგო, რაშიც ლომის წილი ბესო ლეჟავას მიუძღვის. ბათუმელთა ლიდერმა 29 ქულა მიითვალა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა, კახა ჯინჭარაძემ გამარჯვებულებს 23 ქულა მოუგროვა. რუსთავში 28 ქულით ბომბარდირი რეზო ჩაჩანიძე გახდა, ქეისი კასპერბაუერმა კი პირად ანგარიშზე 16 ქულა ჩაიწერა.

მატჩში ინციდენტი მოხდა: ადგილობრივმა გულშემატკივარმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მსაჯს, მაკა კუპატაძეს მას შემდეგ მიაყენა, რაც მისი გადაწყვეტილება არ მოეწონა. პასუხმაც არ დააყოვნა და არბიტრმა მაყურებელს პლასტმასის მანიშნებელი ესროლა. ინციდენტის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, თუმცა მწვრთნელებისა და კალათბურთელების ჩარევის შემდეგ ვითარება რამდენიმე წუთში განიმუხტა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 17 | 17 | 01513-1217 | 34 |
| 2.ქუთაისი | 17 | 13 | 41356-1260 | 30 |
| 3.რუსთავი | 18 | 10 | 81424-1435 | 28 |
| 4.ბათუმი | 18 | 7 | 111389-1424 | 25 |
| 5.სოხუმი | 17 | 7 | 101419-1463 | 24 |
| 6.კაკტუსი | 17 | 7 | 101355-1439 | 24 |
| 7.ოლიმპი | 17 | 5 | 121180-1263 | 22 |
| 8.მგზავრები | 17 | 3 | 141241-1376 | 20 |

# შედეგები

**21 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

სიტი-მონაკო ........ 5:3
ლევერკუზენი-ატლეტიკო ........ 2:4

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

დერბი-ბარტონი ........ 0:0
ქპრ-უიგანი ........ 2:1
ჰადერსფილდი-რედინგი ........ 1:0
უენსდი-ბრენტფორდი ........ 1:2

**საფრანგეთი. 1 დივიზიონი**

კაენი-ნანსი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 26 | 18 | 5 | 3 | 76-24 | 59 |
| 2.პსჟ | 26 | 17 | 5 | 4 | 50-18 | 56 |
| 3.ნიცა | 26 | 16 | 8 | 2 | 42-20 | 56 |
| 4.ლიონი | 25 | 14 | 1 | 10 | 49-31 | 43 |
| 5.სტ.ეტიენი | 26 | 10 | 9 | 7 | 31-21 | 39 |
| 6.მარსელი | 26 | 11 | 6 | 9 | 35-31 | 39 |
| 7.ბორდო | 26 | 10 | 9 | 7 | 32-31 | 39 |
| 8.ტულუზა | 26 | 9 | 7 | 10 | 31-28 | 34 |
| 9.გენგამი | 26 | 9 | 7 | 10 | 30-33 | 34 |
| 10.რენი | 26 | 8 | 9 | 9 | 25-31 | 33 |
| 11.მონპელიე | 26 | 8 | 8 | 10 | 38-43 | 32 |
| 12.ანჟე | 26 | 8 | 6 | 12 | 22-33 | 30 |
| 13.ნანტი | 25 | 8 | 6 | 11 | 19-34 | 30 |
| 14.ლილი | 26 | 8 | 5 | 13 | 24-32 | 29 |
| 15.კაენი | 26 | 8 | 4 | 14 | 26-43 | 28 |
| 16.მეცი | 25 | 8 | 6 | 11 | 25-45 | 28 |
| 17.დიჟონი | 26 | 6 | 9 | 11 | 36-41 | 27 |
| 18.ნანსი | 26 | 7 | 6 | 13 | 18-34 | 27 |
| 19.ბასტია | 25 | 5 | 8 | 12 | 22-33 | 23 |
| 20.ლორიანი | 26 | 6 | 4 | 16 | 27-52 | 22 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სტრასბური-ტური ........ 4:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ჯონ ფიჰანი ბორჯღალოსნებს არ სწყალობს



ბოლო დროს აქტიური თემაა საქართველოს მორაგბეთა ნაკრების 6 ერის თასზე თამაში და თითქოს ყინულიც დაიძრა, მაგრამ ამ ყველაფერს სასიკეთო გაგრძელება არ უჩანს.

ინგლისური მედია აქტიურად წერს, რომ ექვსმა ერმა დაამსხვრია საქართველოს ოცნებები ამ ჩემპიონატში მოხვედრასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო რეიტინგში საქართველო იტალიაზე მაღლა დგას, 6 ერის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯონ ფიჰანმა რეფორმებისკენ მომრავლებული მოწოდებებისგან თავი შორს დაიჭირა.

**ჯონ ფიჰანი:**

– ეს დახურული ჩემპიონატია, რომელიც მასში მონაწილე 6 სარაგბო კავშირის საკუთრებაა. ეს 6 კავშირი აკონტროლებს ამ ტურნირს. ამ ტურნირში არ არის თავისუფალი ვაკანსიები. აბსოლუტურად კმაყოფილები ვართ იმით, რომ ჩვენს შეჯიბრებაში ევროპის 6 უძლიერესი გუნდი მონაწილეობს.

ფიჰანმა კატეგორიულად უარყო ევროპის ჩემპიონის რამენაირი წახალისებისა და ექვსი ერის აუტსაიდერის დაქვეითების ალბათობა.

არადა, 6 ერის სხვა გუნდებისთვის გახსნილობის საკითხის განხილვაზე უარის თქმა აბსოლუტურ დისონანსშია მსოფლიო რაგბის პოლიტიკასთან, მაგრამ ფიჰანის თქმით, მსოფლიო რაგბი ამ ტურნირში ვერ ჩაერევა, რადგან მათ 6 ერის თასის გაკონტროლების უფლება არ აქვთ.

ამას მსოფლიოსა და ევროპის რაგბის მამებიც აღიარებენ და აცხადებენ, რომ ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენენ, რათა 6 ერს გაფართოება აიძულონ.

და მაინც, 9 მარტს, პარიზში, რაგბი ევროპის საბჭოს სხდომაზე 6 ერში გაიგზავნება სტრუქტურული ცვლილებების ახალი ოფიციალური მოთხოვნა.

# 17 წლამდე ნაკრებში უცხოეთში მოთამაშე ქართველები გამოჩნდნენ

ხვალიდან ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ საქართველოს 17-წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი ნემსაძე 10-დღიან შეკრებას მოაწყობს.

ვარჯიშების გარდა, ნაკრების მწვრთნელი კანდიდატებს ორ ამხანაგურ მატჩშიც დააკვირდება: 2 მარტს თბილისის ლოკომოტივის 19-წლამდე გუნდს შეხვდება, 4 მარტს კი თბილისის დინამოს 19-წლამდე გუნდს.

მინსკის ტურნირისგან განსხვავებით, გიორგი ნემსაძემ ბევრი ცვლილება განახორციელა და სიახლეა ისიც, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აქტიური მუშაობით, შესაძლებელი გახდა, ამ შეკრებაზე უცხოეთში მცხოვრები 6 ქართველი ფეხბურთელის გამოძახებაც.

**24-კაციანი სია ასეთია:**

ლუკა კუტალაძე, ირაკლი აზაროვი, შალვა მაღალდაძე, ანზორ მექვაბიშვილი, ზურა დავითაშვილი, გიორგი იაკობიძე, ელგუჯა ჯანგველაძე, ლუკა ჩაკვეტაძე, ხვიჩა კვარაცხელია, ვანო გულხადარაშვილი (ყველა დინამო თბ), ლუკა ლომინაშვილი (რუსთავი), ზურაბ გიგაშვილი (ანკარაგიუჯუ, თურქეთი), ცოტნე კაპანაძე, ცოტნე ჩოთალიშვილი, (ორივე საბურთალო), საბა ჭინჭარაული (ბევერენი, ბელგია), ლევან თოლორდავა (მერანი), ცოტნე ბენდიანიშვილი (კორტრაიკი, ბელგია), გივი მუკბანიანი (ტორპედო), შალვა ოგბაიძე (დინამო, გერმანია), ლუკა-სებასტიან შვარცი (კარლსრუე, გერმანია), ზურა ბაქრაძე, გიორგი კიკნაძე (ორივე ლოკომოტივი), ვახტანგ ბეზერაშვილი (ბარსელონა, ესპანეთი), საბა ჯინჭარაძე (შუქურა).

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ ვებრძოლოთ სეზონურ გრიპს

ეკა ირემაშვილი

გრიპი მწვავე რესპირატორული დაავადებაა, რომელიც ა და ბე ჯგუფის ვირუსით არის გამოწვეული. დაავადება ყოველწლიურად ვრცელდება, განსაკუთრებით კი ზამთარში.

როგორ ვებრძოლოთ სეზონურ გრიპს, როგორია მისი მიმდინარეობა, მკურნალობა და პრევენცია, ამ თემებზე ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკის ექიმი-პედიატრი, მედიცინის აკადემიური დოქტორი მაია ჩხაიძე საუბრობს.

**მაია ჩხაიძე:**

– გრიპი არის მწვავე რესპირატორული დაავადება, რომელიც გამოწვეულია ა და ბე ჯგუფის ვირუსით. დაავადება ვრცელდება ყოველწლიურად, განსაკუთრებით ზამთრის სეზონში. დაავადების მანიფესტაციისას წამყვანია ზედა, ან ქვედა სასუნთქი გზების დაზიანების ნიშნები და სიმპტომები, მაგრამ ბავშვებში გრიპის კლინიკური ნიშნების გამოხატულება ცვალებადია და იგი დამოკიდებულია ასაკზე.

ჯანმრთელ ბავშვებში გრიპი უხშირესად მწვავედ, თვით ლიმიტირებადად, გართულების გარეშე მიმდინარეობს. მაგრამ გრიპი გარკვეულწილად ასოცირდება მძიმე ავადობასთან და სიკვდილობასთან.

ავადობის სიხშირის მიხედვით ერთ-ერთ პირველ ადგილზე არიან ბავშვები. სეზონური გრიპის შემთხვევები ყოველწლიურად აღინიშნება.

***– ვინ მიეკუთვნებიან რისკ ჯგუფს?***

– გრიპის გართულების მაღალი რისკ ჯგუფში შედიან ბავშვები 5 წლამდე, იმუნოკომპრომიტებული პაციენტები – მედიკამენტოზური ან თანდაყოლილი, მოზრდილები > 65 წლის, პაციენტები, რომელთაც აღენიშნებათ ფილტვის ქრონიკული დაავადებები, კარდიოვასკულარული დაავადებები, თირკმლის, ღვიძლის, ჰემატოლოგიური, მეტაბოლური, ნევროლოგიური, ნეირომუსკულარული, იმუნოსუპრესია, ორსულები და ახალნამშობიარები ქალები, ბავშვები < 19 წელზე, რომლებიც ხანგრძლივად ღებულობდნენ ასპირინს.

ჯანმრთელ ბავშვებში გრიპის ინფექცია, როგორც წესი, მიმდინარეობს მწვავედ, გართულებების გარეშე და თვითლიმიტირებადია. რისკ ჯგუფში შემავალ ბავშვებში ეს ინფექცია შესაძლოა მძიმედ და გართულებებით მიმდინარეობდეს. დაავადების ხანგრძლივობა 2-5 დღეა. გართულებულ შემთხვევებში დაავადების ხანგრძლივობა შეიძლება ერთ კვირა ან მეტი გაგრძელდეს.

***– რა კლინიკური გამოვლინებები ახასიათებს?***

– კლინიკური გამოვლინება დამოკიდებულია დაავადებული ბავშვის ასაკზე და წინა პერიოდში გრიპით ავადობის ანამნეზზე. კლასიკური კლინიკური სურათია ცხელება, თავის ტკივილი, მიალგია, დისკომფორტი. ეს ნიშნები თან ახლავს რესპირატორულ გამოვლინებებს, როგორიცაა ხველა, ყელის ტკივილი, რინიტი.

მცირე ასაკის ბავშვებში კლასიკური კლინიკური სურათი ხშირად არ ვლინდება. ისინი ვერ აღწერენ თავის ტკივილს, დისკომფორტს, მიალგიას. მათ აღენიშნებათ უფრო მაღალი ცხელება, ფებრილური გულყრა. მათ შესაძლოა გამოხატული ჰქონდეთ გასტროინტესტინული გამოვლინება, როგორიცაა ღებინება, გულისრევა, უმადობა, დიარეა. ბავშვთა პოპულაციაში დაავადებულების 95% აღენიშნებათ ცხელება, 77% ხველა, 78% რინიტი, 26% თავის ტკივილი და მხოლოდ 7% მიალგია. კლინიკური ნიშნებიდან ყველაზე ხანგრძლივად ხველა რჩება. ის შესაძლოა 3-4 კვირამდე გახანგრძლივდეს.

***– რა არის უხშირესი გართულებები?***

– ოტიტით რთულდება დაახლოებით 10-50% შემთხვევებისა. მეორე ადგილზეა ქვედა სასუნთქი გზების ინფექცია. მათ რიცხვშია ბრონქიოლიტი, ინტესტიციური პნევმონია, ლარინგოტრაქეიტი, ასთმური სტატუსი ასთმის არსებობისას. გრიპის ინფექციას შესაძლოა თან დაერთოს მეორადი ბაქტერიული ინფექციაც.



ხშირი გართულება, რომელიც შესაძლოა გრიპის დაავადებას დაერთოს, არის ბაქტერიული პნევმონია. ნევროლოგიური გართულებებიდან მოსალოდნელია განვითარდეს ვირუსული მენინგიტი, ენცეფალიტი, გიენ-ბარეს სინდრომი, ფებრილური გულყრა, მენტალური სტატუსის მწვავე ცვლილება.

ანტივირუსული პრეპარატები მკურნალობის მნიშვნელოვანი ვარიანტია იმ პაციენტებისთვის, რომელთაც განუვითარდათ გრიპის ინფექცია, მიუხედავად იმუნიზაციისა. მკურნალობა ყველაზე ეფექტურია, როდესაც იგი დაწყებულია დაავადების მიმდინარეობის ადრეულ ეტაპზე.

ანტივირუსული პრეპარატებიდან განსაკუთრებით ეფექტურია ოსელტამივირი. ოსელტამივირი აქტიურია ინფლუენცა ა და ბე ვირუსების მიმართ. გამოიყენება ინფლუენცა ა და ბეს სამკურნალოდან > = 2 კვირის ასაკის ბავშვებში და პროფილაქტიკის მიზნით ან > = 1 წელზე მეტი ასაკის პირებში. პრეპარატის დანიშვნა ეფექტურია კლინიკური ნიშნების გამოვლენიდან 48 საათში. პრეპარატის დანიშვნის ხანგრძლივობა 5 დღეა. პროფილაქტიკის მიზნით ინიშნება 7-10 დღე. ოსელტამივირისი ინიშნება პერორალური სახით. ის დაფასოებულია კაფსულების ან ფხვნილის სახით, რომლის განზავებაც ხდება სითხეში. ოსელტამივირის დოზა და დანიშვნის ხანგრძლივობა მერყეობს წონისა და დანიშნულების მიზნის მიხედვით, მაგალითად, პროფილაქტიკისთვის ან მკურნალობისთვის.

***– რა როლი ენიჭება ამ დროს იმუნიზაციას?***

– იმუნიზაცია არის გრიპის პრევენციის საუკეთესო საშუალება. არსებობს 2 ტიპის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა: ინაქტივირებული, რომელიც ინტრამუსკულარულად კეთდება და ცოცხალი ატენუირებული ვაქცინა, რომელიც გამოიყენება ცხვირში ჩასაწვეთებლად.

***– ვაქცინაციაზე რას გვეტყვით?***

– დაავადებათა კონტროლის ცენტრის და ამერიკის პედიატრთა აკადემიის რეკომენდაციით გრიპის ვაქცინაციას საჭიროებს ყველა პიროვნება 6 თვის ასაკიდან ზემოთ. როდესაც ვაქცინის რაოდენობა შეზღუდულია, პირველ რიგში ვაქცინაციას ექვემდებარებიან ბავშვები და უფროსები, რომლებიც მძიმე გართულებების განვითარების რისკ-ჯგუფს მიეკუთვნებიან.

სეზონური გრიპის პრევენციის საუკეთესო საშუალებაა ვაქცინაცია. რაც შეეხება ვაქცინაციის კალენდარს, აცრების დაწყება აუცილებელია ყოველი წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე. გრიპის სეზონის დაწყებამდე. იმუნოსუპრესიულ ბავშვებში ეფექტურია ვაქცინაცია, თუ იმუნოსუპრესიული პრეპარატებით მკურნალობის კურსი დაამთავრეს 3 კვირის წინ. გლუკოკორტიკოიდების დიდი დოზით თერაპიის დროს ვაქცინაცია უნდა გადავადდეს.

ბავშვები, ვისაც დაუდასტურდათ ლაბორატორიულად გრიპის ინფექცია და არ არიან ვაქცინირებულები, საჭიროებენ ვაქცინაციას, რადგანაც ყოველწლიურად ვირუსის სხვადასხვა მრავალი სახეობა ცირკულირებს და ერთი ტიპის ვირუსით დაავადება არ იწვევს იმუნიტეტის ჩამოყალიბებას სხვა ტიპის ვირუსის წინააღმდეგ.

## კალეიდოსკოპი

## ოთხი თვის მშვენიერთმიანი ბავშვი პოპულარული გახდა

ბრიტანეთის ქალაქ კროულ პრიმროუს ჰოლოვეიში დაიბადა მშვენიერთმიანი ბავშვი, რომელმაც მაშინვე მას მედიის და სოციალური ქსელების მომხმარებლების ყურადღება მიიპყრო.



ბავშვის დედა, 32 წლის კეიტ მასონი იძულებულია, ქუჩაში გაყვანის დროს თავზე ქუდი დაახუროს, რათა გამვლელთა გადამეტებულ ყურადღებას აარიდოს.

– პირველად იმის შესახებ, რომ ბავშვს ხშირი და სქელი თმა ჰქონდა, ჯერ კიდევ მშობიარობამდე შევიტყვეთ, – განაცხადა ბავშვის დედამ.

გოგონას მშობლები ფიქრობდნენ, რომ ის თავის თმებს გარკვეული დროის შემდეგ დაკარგავდა, მაგრამ თმები კვლავაც აგრძელებს ზრდას.

## ავსტრალიელმა ოფიციანტმა ვარანი რესტორნიდან კუდით გაათრია



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატში რესტორნის თანამშრომელმა დაწესებულებაში შესული ვარანი იქიდან კუდით გამოათრია.

მომხდარის ვიდეოჩანაწერი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა დაწესებულების მფლობელმა. ოთხ დღეში აღნიშნული ვიდეორგოლი 310 ათასზე მეტმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა.

როგორც ვიდეოჩანაწერისთვის თანდართულ კომენტარშია აღნიშნული, ოფიციანტ გოგონას, რომელსაც გიგანტური ხვლიკის არ შეეშინდა, სამია ჰქვია.

## ბრაზილიაში მიტოვებული ძაღლი სამსახურში მოეწყო

ბრაზილიის ქალაქ მოჟი-დას-კრუზისში ძაღლმა, რომელიც პატრონმა მიატოვა, სამსახური ავტოგასამართ სადგურზე მიიღო.

ძაღლი სახელად ნეგაო საბრინა პლანერერმა და მისმა პარტნიორმა შეიფარეს.

– ჩვენ ის მაშინვე ავიყვანეთ და ყველაფრით უზრუნველვყავით, რაც კი მისთვის აუცილებელი იყო. მივუტანეთ საკვები, ბინა ძაღლისთვის და საყელური და საბელი გასასეირნებლად, – განაცხადა ქალმა.

როდესაც ავტოგასამართი სადგური ამუშავდა, ძაღლმა მიიღო საკუთარი ფორმა და საიდენტიფიკაციო ბარათი.



ძირითადი საქმიანობის გარდა, ძაღლი ასევე თანამშრომლობს საქველმოქმედო ორგანიზაციასთან, რომელიც უპატრონო ძაღლებს ეხმარება. აღსანიშნავია, რომ ნეგაომ ორგანიზაციის სარეკლამო ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

## ბრაზილიის ციხეში კონტრაბანდისტი მტრედი დაიჭირეს



ბრაზილიის ციხის ზედამხედველებმა დაიჭირეს მტრედი, რომელსაც ერთ-ერთი პატიმრისთვის მობილური ტელეფონი მიჰქონდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

ბრაზილიის გამოსასწორებელი დაწესებულებების დეპარტამენტის განცხადების თანახმად, ინციდენტი ნილტონ სილვას საპატიმროში მოხდა, რომელიც ქალაქ ფრანკუ-და-როშაში მდებარეობს.

ზედამხედველებმა შენიშნეს, რომ პატიმრები იჭერდნენ მტრედს, რომელსაც რაღაც ეკეთა. მათ ფრინველი თავად დაიჭირეს და აღმოაჩინეს, რომ მას ეცვა ჟილეტი, რომელშიც მოთავსებული იყო მობილური ტელეფონი და მისი ელემენტი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 23 თებერვლისთვის



**ვერძი** – გადაღლილი ხართ. ახლობლების შენიშვნები მშვიდად მიიღეთ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **კურო** – ახალი წამოწყება გაამართლებს. ბედი გწყალობთ. სამსახურში ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას. **ტყუპები** – უარი თქვით მოგზაურობასა და მივლინებებზე. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **ლომი** – შექმნილი რთული სიტუაციიდან თქვენთვის სასარგებლო გამოსავალს მიაგნებთ. ყოფით პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით. **ქალწული** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო, შესაძლოა, დიდი პრობლემები შეგექმნათ. **სასწორი** – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **ღრიანკალი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **მშვილდოსანი** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს. **თხის რქა** – აქტიურობა არასასურველია. ყველანაირად ხელი შეგეშლებათ. მსუბუქი საქმე აკეთეთ. **მერწყული** – რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალ იდეებს ადვილად განახორციელებთ. **თევზები** – ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით ცხოვრებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 3. სამთო-სათხილამურო კურორტი საფრანგეთში; 4. ჭორების პანიკური ინფორმაციის გამავრცელებელი ადამიანი; 5. მატლის, მღრღნელი ჭიების ძველი ქართული სახელწოდება; 6. მიხეილ ჭიაურელის მხატვრული ფილმი; 8. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 11. სამეფო კვერთხი; 14. ქართველი ბიზნესმენი, მეცენატი, ქველმოქმედი; 15. უდაბნო შუა-აზიაში; 16. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 17. ვაჭართა წოდებრივი თანრიგი, ქონების რაოდენობის მიხედვით ძველად; 19. ბრიტანული ნამცხვარი; 21. მდინარე რომში; 22. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. დრამატული ნაწარმოები; 5. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 7. ოპერა „სევილიელი დალაქი"-ს კომპოზიტორი; 9. ჟურნალისტის ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 10. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 12. შტატი აშშ-ში; 13. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ზესტაფონის მახლობლად; 17. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 18. გერმანული ავტომობილი; 20. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 22. მომღერალი-პოეტი მუსლიმანურ ქვეყნებში; 23. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსი"-ს ფეხბურთელი; 24. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 25. სამკითხაო ქვიშა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ლუციფერი; 2. გუდაური; 3. უნაბი; 4. „გუდვილი"; 5. კოპტები; 10. მოძახილი; 11. „ხარისთვალა"; 12. ესკადრა; 15. კლეპსიდრა; 16. სპაზმი; 17. ხორბალი; 20. „სარკე".

**თარაზულად**: 6. წუღრუღაშენი; 7. ჰუდზონი; 8. ბაირამი; 9. ჩედერი; 13. კინო; 14. კაზუსი; 18. ბანდეროლი; 19. ფობია; 21. მარსი; 22. დინასი; 23. სირაჯხანა; 24. სპარსეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 2. „იზაბელა"; 3. სპარინგი; 4. ოსვენციმი; 5. თოლია; 6. არდანი; 8. ხარაზი; 11. კელნერი; 14. მეტრანპაჟი; 15. სათაფლია; 16. ბიჟუტერია; 17. ჩითილი; 19. ხავერდი; 21. სამბა; 22. კოალა.

**თარაზულად**: 1. ბიოსფერო; 5. თორა; 7. ტეხური; 9. მაღალაშვილი; 10. დეკარტი; 12. ანალიზი; 13. ტრიუმფი; 16. ბარიბალი; 17. ჩირი; 18. ცხუმი; 20. გრავიურა; 22. კოლტი; 23. ბაკალეა; 24. რულადა; 25. ბირჟა.

# გოგა ჩანადირი: „ჩვენი ენა ჩვენი მოსაფრთხილებელია“



ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი სხვადასხვა სოციალური აქციების ინიციატორია, „ჩავყაროთ ნაგავი“, „ჩვენ ვიცავთ მოძრაობის წესებს“, „ჩვენ გვიყვარს წიგნები“, „დავიცვათ ქართული ენა ბარბარიზმებისგან“. მის მიერ წამოწყებულ ყველა აქციას უამრავი გულშემატკივარი ჰყავს და ფოტოხელოვანთან ერთად რიგითი მოქალაქეებიც ცდილობენ საკუთარი წვლილი შეიტანონ ამ აქციებში.

21 თებერვალს მსოფლიომ მშობლიური ენის საერთაშორისო დღე აღნიშნა. მათ რიცხვს შეუერთდა გოგა ჩანადირიც. მან კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას, რომ მშობლიური ენის დაცვა უმთავრესია.

**გოგა ჩანადირი:**

– 21 თებერვალი მშობლიური ენის საერთაშორისო დღეა. 2 წლის წინათ ამ დღეს „ფეისბუქზე“ დავიწყე აქცია „დავიცვათ ქართული ენა ბარბარიზმებისაგან“, რომლის თანამონაწილე სოფო ბაჩილავა და სამოქალაქო კლუბის წევრები იყვნენ.

ჩვენი მიზანი მშობლიური სიტყვების შეხსენება იყო. სამწუხაროდ, ეს აქცია ახლაც ძალაშია, რადგან კვლავ ხშირად ისმის ბარბარიზმები, დალაიქება, რელევანტური, ლოკაცია, პრობკა, კანატკა, გაშეარება, ბასეინი, პროსტა, ვოლი, პოზიტიური, ლაივი, გლუშიტელი და ასე შემდეგ.

საქართველოს სიყვარული ენის პატივისცემაში გამოიხატება. ჩვენი ენა ჩვენი მოსაფრთხილებელია.

# ნინო ანანიაშვილი ამსტერდამში მიიწვიეს




ქართველი პრიმა ბალერინა, საქართველოს საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი ამსტერდამში მიიწვიეს. ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის ორგანიზებით საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ მსოფლიოს წამყვანი საბალეტო დასების ხელმძღვანელები, თანამედროვე საბალეტო სამყაროში მიმდინარე პროცესებს და გამოწვევებს მიეძღვნა.

ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის დირექტორის ტედ ბრანდსენის მიწვევით ამსტერდამში საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



გარდაიცვალა ხეზე კვეთის უბადლო ოსტატი

## სოსო (სიმონ) პეტრეს ძე ქიმაძე

ახალგაზრდობაში მიღებული სიმწარის (ქალიშვილის თეას დაკარგვის) მიუხედავად, იგი მუხლჩაუხრელად მუშაობდა, შექმნა 1000-ზე მეტი პორტრეტი ხეში ნაკვეთი, ასევე სხვადასხვა სახის საოჯახო ნივთები.

2016 წელს მოეწყო პერსონალური გამოფენა, რომელსაც მრავალი დღის განმავლობაში ათვალიერებდა ქალაქის ყველა თაობის წარმომადგენელი. ის იყო თავისი საქმის, ოჯახის, სამშობლოს უსაზღვრო მოსიყვარულე.

გლდანის IV მიკრორაიონის 102, 103, 104 და 92 კორპუსის მცხოვრებლები თანაუგრძნობენ ოჯახს მისი გარდაცვალების გამო.

სოსოს შაბათს, 25 თებერვალს, გადაასვენებენ თბილისიდან და მიაბარებენ საჩხერის მშობლიური სავანის მიწას შვილის გვერდით.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროფესიული კავშირების გაერთიანება სამძიმარს უცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ბატონ რუდიკ ცატავას მეუღლის და აფხაზეთის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის პროფკომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ხათუნა ცატავას დედის

## ბელა გოგისვანიძე-ცატავას

გარდაცვალების გამო.

---

ამირან, ავთანდილ და რუსუდან მექვაბიშვილები თანაუგრძნობენ ელზა და ანზორ კუპატაძეებს დედისა და სიდედრის

## ნათელა შენგელიას

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# რეზო ჭეიშვილზე ფილმი გადაიღეს

მწერალ რეზო ჭეიშვილზე ფილმი გადაიღეს. „მუსიკა ქარში“ – ასე ეწოდება რეჟისორ ცისკარა ფაჩულიას ნამუშევარს.

„მუსიკა ქარში“ ფილმს რეზო ჭეიშვილის ავტობიოგრაფიული რომანის გამო დაერქვა. სცენარზე საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ რიტა წაქაძემ იმუშავა. პრეზენტაციას მწერლის ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები ესწრებოდნენ. მისი მეუღლის მარი ვერულაშვილის თქმით, ფილმმა მასში ყველა მოგონება გააცოცხლა და წარსულში დააბრუნა.

ფილმის პრემიერა ქუთაისში ოპერის თეატრში გაიმართა და მასში მწერლის ცხოვრება და შემოქმედებაა გაერთიანებული. შემოქმედებითი ჯგუფის ინფორმაციით, ფილმზე მუშაობა ჯერ კიდევ რეზო ჭეიშვილის სიცოცხლეში დაიწყო, თუმცა პროცესები გაიწელა და მისი დასრულება მხოლოდ შემოქმედის გარდაცვალების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

– ფილმზე მუშაობა ერთად დავიწყეთ. მან იცოდა, რა და როგორ უნდა გადაგვეღო და მოსწონდა. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ მასთან ერთად გადაღება. ფილმი მის ცხოვრებას, ბავშვობიდან გარდაცვალებამდე და შემოქმედებას ასახავს. იყო სირთულეები ფინანსური, მაგრამ ფინანსებიც ვერ გააკეთებდა იმას, რასაც ენთუზიაზმი, – განუცხადა ჟურნალისტებს ფილმის რეჟისორმა.




რეზო ჭეიშვილი 2 წლის წინ 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი მწერლისთვის ყველაზე დიდი ჯილდო მკითხველის სიყვარული იყო.

საქართველოს მწერალთა ყრილობაზე რეზო ჭეიშვილი მწერალთა კავშირის მდივნად და თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს. 15 წლის განმავლობაში ის იყო საქართველოს მწერალთა ლიტერატურული ფონდის თავმჯდომარე. ორი სეზონის განმავლობაში რეზო ჭეიშვილი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

**კალეიდოსკოპი**

# ინვალიდმა გოგონამ სილამაზის კონკურსში მიიღო მონაწილეობა

შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე გოგონამ პირველად მიიღო მონაწილეობა სილამაზის კონკურსში „მის მსოფლიო“. ჯასტინ კლარკი ავსტრალიის ადელაიდას შტატის რეგიონალურ ფინალში მონაწილეობდა.

26 წლის კლარკი მართალია შტატის დონეზე არც კონკურსის გამარჯვებული გამხდარა და ვერც ეროვნულ ეტაპზე მოხვდება, მაგრამ მისი თქმით, ის უკვე თავად იმ ფაქტითაა კმაყოფილი, რომ კონკურსის მონაწილე იყო და ინვალიდების უფლებების დაცვისთვის ბრძოლას გააგრძელებს.




– იმისთვის, ვინც ინვალიდის ეტლზეა მიჯაჭვული, კონკურსში მონაწილეობა წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია. იმედი მაქვს, რომ ეს ერთგვარი გზავნილი გახდება: მიუხედავად რასისა, ტანსაცმლის ზომისა თუ ფიზიკური შეზღუდულობისა, იმ ყველაფრისა, რაც გამოგარჩევთ დანარჩენებისგან, თქვენ მაინც ლამაზი ხართ, – განაცხადა კლარკმა.

აღსანიშნავია, რომ გოგონა ინვალიდის ეტლით 2015 წლიდან გადაადგილდება, ხოლო თუ რამ გამოიწვია მისი ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, ამაზე კლარკი არაფერს ამბობს.

# ნიკოლ კიდმანი ლენი კრავიცზე იყო დანიშნული



ჰოლივუდის მსახიობმა ნიკოლ კიდმანმა პირველად დაადასტურა, რომ ის მუსიკოს ლენი კრავიცზე იყო დანიშნული.

აღსანიშნავია, რომ ხმები ვარსკვლავური წყვილის ნიშნობის თაობაზე ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში გავრცელდა. კიდმანი და კრავიცი ერთმანეთს 2003 წლიდან 2005 წლის ჩათვლით ხვდებოდნენ. მანამდე მსახიობი ტომ კრუზზე იყო გათხოვილი, რომელსაც ის 2001 წელს დაშორდა. ამჟამად ის ქანთრი-მუსიკოს კიტ ურბანთან იმყოფება ქორწინებაში და მასთან ერთად ორ გოგონას – 8 წლის სანდეის და 6 წლის ფეიტს ზრდის.

– დიდი ხანია ვიცნობ ზოის, რომლის მამაზეც დანიშნული ვიყავი, – განაცხადა კიდმანმა, კრავიცის ქალიშვილთან ერთად პროექტ „დიდი პატარა სიცრუეზე“ მუშაობის თაობაზე საუბრისას, – მე მიყვარს ლენი. ის შესანიშნავი ყმაწვილია.

ამასთან მსახიობმა აღნიშნა, რომ მან და კრავიცმა თბილი და მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნეს.

# ანჯელინა ჯოლიმ შემწვარი ობობებით ისადილა



კამბოჯაში მყოფმა ამერიკელმა მსახიობმა ანჯელინა ჯოლიმ თავის შვილებთან ერთად ტრაპეზი გამართა, რომლის დროსაც მათ შემწვარი ობობები და სხვა მწერებიც დააგემოვნეს.

მსახიობმა ეს ბი-ბი-სისთან ინტერვიუს დროს გააკეთა. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ტელეკომპანიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

მსახიობმა აღნიშნა, რომ ადგილობრივები იძულებულები იყვნენ სამოქალაქო ომის დროს, რომელიც 1967 წლიდან 1975 წლის ჩათვლით გრძელდებოდა, თავი მწერებით გამოეკვებათ.

ანჯელინა ჯოლი კამბოჯაში ფილმ „თავდაპირველად მოკლეს მამაჩემზე“ სამუშაოდ ჩავიდა, რომლის რეჟისორიც თავადაა.

# ინდოელს საკუთარ დასაფლავებაზე გამოეღვიძა



ინდოეთის კარნატაკას შტატის მარაგუნდის რაიონის სოფელ დარვადის მცხოვრები იმ დროს მოვიდა გონს, როდესაც მას დასასაფლავებლად მიასვენებდნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ერთი თვის წინ 17 წლის კუმარა მარევადას მაწანწალა ძაღლმა უკბინა, რის შედეგაც მას რამდენიმე კვირის მანძილზე მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. როდესაც მისი მდგომარეობა გაუარესდა, საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, შემდეგ ფილტვების ხელოვნური განიავების აპარატზე იქნა შეერთებული.

ექიმებმა კუმარას ახლობლებს განუმარტეს, რომ ინფექცია მთელ სხეულს მოედო და აპარატის გარეშე ვერ გადარჩებოდა. ამის მიუხედავად, ახლობლებმა, რომლებსაც ხანგრძლივი მკურნალობის საშუალება არ ჰქონდათ, ყმაწვილი სახლში წაიყვანეს.

მოგვიანებით, როდესაც ახლობლებმა ყმაწვილში მოძრაობისა და სუნთქვის ნიშნები ვერ შენიშნეს, გადაწყვიტეს, რომ ის გარდაიცვალა. მათ ყველა ტრადიციის დაცვით ორგანიზება გაუკეთეს მის დასაფლავებას, მაგრამ, როდესაც სამგლოვიარო პროცესიას ორი კილომეტრის მანძილი ჰქონდა დარჩენილი გასავლელი დასაფლავების ადგილამდე, კუმარმა თვალები გაახილა, ხელები და ფეხები გაატოკა და აჩქარებით სუნთქავდა.

მალე კუმარი კვლავ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი და ექიმებმა ისევ აპარატზე შეაერთეს. ექიმების თქმით, ახალგაზრდას მენინგოენცეფალიტი აქვს – ინფექცია, რომელსაც ძაღლის ნაკბენი იწვევს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პროგრამა

**ხუთშაბათი 23 თებერვალი**

**07.00** დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **15.00, 03.00** "X სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ "**და ვინჩის კოდი**" (ო.ტოტუ)

**08.00** დ/ფ "ზეთი სიამაყე" **09.00** დ/ფ "ნამდვილი პანამა" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "კლინტ ისტვუდი-მოხალისე მსროლელი" **11.35** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ღამის წყვდიადი**"

**06.30, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" 4 სერ. **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**ცუდი ლეიტენანტი**" **02.15** მხ/ფ "**კარგი ექიმი**" **03.45** მხ/ფ "**უცნობი სიყვარული**" **05.10** მხ/ფ "**სასიკვდილო დარტყმა**" (ტიტ.)

**06.00, 18.50, 20.03** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **22.00** პროფილი **23.30**P.S. სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "ატომი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**", **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** მხ/ფ "**გააანალიზე ეს**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** მხ/ფ "**ნიშნები**" **00.00 18+ 01.00** მხ/ფ "**დროის მანქანა**" **02.45** მხ/ფ "**საკანი**"

**06.15** სჯანი-ისლამის დამოკიდებულება ქრისტიანებისადმი **06.30** პატერიკი-ნეტარი პიმენი **06.45** სათავეებთან "ნიკო ნიკოლაძე" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**გიორგობის თვე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** თბილისის ტაძრები "მამა დავითი" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** ტრაპეზი **15.40** კონცერტი **16.45** ქრისტიანული ხელოვნება "დიდუბის ტაძრის მოხატულობა" **17.30** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** წმინდანები **19.40** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა "იესო იზრდება" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** შარავანდედი-შიო ჩიტაძე, გაზეთი "ივერია" **21.35** ღირსი მამა შიო მღვიმელი **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ივერიის ეკლესია **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "ფუძნარის ტაძარი" **00.30** საუკუნის პორტრეტები-შალვა მაღლაკელიძე **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" **14.30, 15.30** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.45** სერ. "**მოკალი სტალინი**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 თებერვლისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6325 |
| ევრო | — 2.7739 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.2701 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.5517 |

## ამინდის პროგნოზი 23 თებერვლისთვის







## 21 თებერვლიდან
## ჩემი პირველი ქრესტომათია

წიგნში შეტანილია ქართული და მსოფლიოს საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსების უხვად ილუსტრირებული ნაწარმოებები.

მასში გათვალისწინებულია ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები და მისწრაფებები. იგი დაეხმარება ბავშვს თვალსაწიერის გაფართოებაში.

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**




## 28 თებერვლიდან
## ჩემი პირველი პოეზიის ანთოლოგია

წიგნში შეტანილია მრავალფეროვანი ილუსტრაციებით დატვირთული 87 ქართველი პოეტის 293 საბავშვო ლექსი, რომლებიც დალაგებულია ასაკისა და თემატიკის მიხედვით. იგი დაეხმარება ბავშვს სიტყვათა მარაგის დაგროვებასა და აქტიურად გამოყენებაში.

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

## ლეონარდო ბონუჩი შესაძლოა იუვენტუსიდან წავიდეს



ტურინის იუვენტუსის ცენტრალური მცველი ლეონარდო ბონუჩი შესაძლოა იუვედან წავიდეს, ამის მიზეზი მთავარ მწვრთნელ მასიმილიანო ალეგრისთან კონფლიქტია, რის გამოც ბონუჩი ბოლო შეხვედრებში არ თამაშობს.

ალეგრიმ ისაუბრა შექმნილ მდგომარეობაზე და თქვა, რომ მას ჰქონდა მცირე კონფლიქტი ბონუჩისთან, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა და ბონუჩი მალე დაბრუნდა მოედანზე.

მიუხედავად ამისა, ბონუჩიმ შესაძლოა მაინც დატოვოს იუვენტუსი, რადგან მისი შეძენით აქტიურად არის დაინტერესებული ლონდონის ჩელსი.

ბონუჩის გარდა, ალეგრისთან ასევე დაძაბული ურთიერთობა აქვს იუვეს ერთ-ერთ ლიდერ პაოლო დიბალას.

## აგუერო: „გვარდიოლასთან კარგი ურთიერთობა მაქვს“



მანჩესტერ სიტის არგენტინელმა ფორვარდმა სერხიო აგუერომ მონაკოსთან მატჩის შემდეგ ხოსეპ გვარდიოლაზე ილაპარაკა და თქვა, რომ თავის მწვრთნელთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს.

აგუეროს თქმით, ის სიტიში ბედნიერია და წასვლას არ აპირებს.

– ყოველთვის ვამბობდი, რომ სიტიში თავს კარგად ვგრძნობ და წასვლა არ მინდა. გვარდიოლასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ვთვლი, რომ ის ძლიერი სპეციალისტია. რაც შეეხება მონაკოსთან მატჩს, მიხარია, რომ დუბლი შევასრულე, თუმცა ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა, – განაცხადა სერხიო აგუერომ.

შეგახსენებთ, რომ მანჩესტერ სიტიმ საკუთარ მოედანზე მონაკო 5:3 დაამარცხა.

## ნიკოლოზ ბასილაშვილმა ტომი ჰაასი დაამარცხა



ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა მსოფლიოს ყოფილი მეორე ჩოგანი ტომი ჰაასი სამ სეტში დაამარცხა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰაასი უკვე ვეტერანია და ტრავმის გამო ხანგრძლივი პერიოდი გაუცდა, მისი დამარცხება ნიკასთვის მაინც დიდი წარმატებაა. პირველი სეტი ბასილაშვილმა დათმო 6:7, მეორე სეტი იგივე ანგარიშით მოიგო, მესამე სეტი კი ქართველი ჩოგბურთელისთვის გაცილებით იოლი აღმოჩნდა. გადამწყვეტ სეტში ბასილაშვილმა 6:2 იმძლავრა და დელრეი ბიჩის ტურნირის მეორე წრეში გავიდა, სადაც მისი მეტოქე სტივ დარსისი იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



## იუმორი

ნარკომანი ჯოჯოხეთში მოხვდა. ხედავს კანაფის ყანაა. დასტაცა ხელი ცელს და თიბავს. ერთ-ერთმა ნარკომანმა გასძახა:

– შენ რა, გამოშტერდი, გაიხედე რამხელა ზვინი დგას.

ნარკომანი მივარდა ზვინთან და გადარჩევა დაიწყო. მეორე ნარკომანი ეუბნება:

– სულ გამოშტერდი, გაიხედე, რამდენი გადარჩეული და გამზადებული აწყვია.

ნარკომანი მივარდა და დანაწევრება დაიწყო. მეორე ისევ ეუბნება:

– შენ ვერ ხარ რა, ნახე, რამდენი უკვე შეკეთებული აწყვია.

ნარკომანი მივარდა, აიღო და ასანთს დაუწყო ძებნა. მერე მეორე ნარკომანს მიუბრუნდა და ეკითხება:

– ასანთი გააქვს.

– შენ, ვერ ხარ, ხო, ასანთი რომ იყოს, მაშინ რაღა ჯოჯოხეთი იქნებოდა.

•••

სკოლიდან დაბრუნებულ შვილს მამა ეკითხება:

– აბა, რა არის ახალი სკოლაში, რა გაიგე?

– ისტორიის მასწავლებელი ინდულგენციაზე გვესაუბრა.

– მერე?

– წარმოგიდგენია, შუა საუკუნეებში ვისაც ბევრი ფული ჰქონდა, შეეძლო დანაშაული ისე ჩაედინა, რომ დასჯის შიში არ ჰქონოდა.

– ეეხ, შვილო, ახლაც მასეა...

•••

ოჯახის უფროსი და ბიჭი ტელევიზორს უყურებენ. ცოლი და ქალიშვილი კი სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავენ. უცბად ჭურჭლის მტვრევის ხმა ისმის. ცოტა ხანში ბიჭი მამას ეუბნება:

– დედას გაუტყდა თეფში.

– შენ საიდან იცი?

– ვერ ხედავ, ხმას არ იღებს.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– პიზის კოშკი ნახე?

– ვნახე, მერე?

– ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა გადახარა.

•••

სომეხი ცოლი ქმარს ეუბნება:

– სეროჟ, ორი საათი ნაგვის გადაყრას რათ უნდა?

– ვაა, გავყიდე, რა!

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– გოგონი, ისე მიყურებ, თითქოს შენი მშობლები აგარაკზე იყვნენ წასულები?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 17 თებერვლიდან

### გაბრიელ გარსია მარკესი

### ჩილეში არალეგალურად შეპარული მიგელ ლიტინის თავგადასავალი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## ვიქტორ ჰიუგო
# საბრალონი

| 23 თებერვლიდან ტომი I | 27 თებერვლიდან ტომი II | 2 მარტიდან ტომი III | 6 მარტიდან ტომი IV |
|---|---|---|---|
| ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი |













## უეინ რუნი მანჩესტერში უკმაყოფილოა



მანჩესტერ იუნაიტედის ერთ-ერთი ლეგენდა უეინ რუნი გუნდში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ის გუნდიდან წავიდეს.

რუნის ჟოზე მოურინიოს ხელში ხშირად არ ეძლევა თამაშის საშუალება და ეს ფაქტი ფეხბურთელს ძალიან აღიზიანებს.

რუნის ჩინეთში ეპატიჟებიან, სადაც ზღაპრულ ხელფასს სთავაზობენ, მაგრამ რუნი ჩინეთში თამაშზე ყოველთვის უარს ამბობდა, თუმცა შესაძლოა მან აზრი შეიცვალოს. რუნი საბოლოო გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, ზაფხულში მიიღებს.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 2. საავადმყოფოს სახელწოდება ძველად საქართველოში; 3. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 4. მატყუარა, ყალთაბანდი; 5. რომელიმე ენის სიტყვების მარაგი; 10. მადნის, ქვიშის გადასაზიდი სარკინიგზო, თვითმცლელი, ნახევარვაგონი; 11. მყარი ნივთიერების აირისებრ მდგომარეობაში გადასვლა; 12. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის არჩევის უფლების მქონე პირი; 15. ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც ფრინველთა პერიოდული გადაფრენის მოვლენებს სწავლობს; 16. საჭმელი სოკო; 17. კურორტ ახალი-ათონის ძველი სახელწოდება; 20. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი.

**თარაზულად:** 6. გოეთეს „ფაუსტის“ პერსონაჟი; 7. ხორვატიის დედაქალაქი; 8. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 13. მკაცრი აკრძალვა; 14. ყინულითა და პიტნით შეზავებული ვისკი ან რომი; 18. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 19. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 22. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ვიწრო ნაწილი; 23. შავი ფერის ალმასი; 24. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

